# მომავალი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 84 კვირა, 6 დეკემბერი 1909 წ. № 84

გაზეთ „მომავალი“ ღირს როგორც თფილისში ისე თფილისს გარეთ ერთი წლით 7 მან. ნახევარი წლით 4 მან. თვიურად: თფილისში 80 კაპ. თფილისს გარეთ 90 კ. [illegible] თფილისში 1 მან. 60 კაპ. თფილისს გარეთ 1 მან. 80 კაპ. საზღვარ გარეთ—ორჯერ მეტი იმაზე, რამდენიც თფილისში ღირს. განცხადებების ფასი: [illegible] პეტიტით—15 კაპ. [illegible] ლოდ თვის პირველი რიცხვიდან. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები არ ინახება და მათ-შესახებ რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს. ერთი თვით ინახება მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. ადრესის გამოცვლა თფილისიდან თფილისს გარეთ ღირს 80 კაპ. სხვა-გან—40 კაპ. ცალკე ნომერი ღირს ყველგან ე რ თ ი შ ა უ რ ი. რედაქციის ადრესი: თფილისი, რუსის ქუჩა № 3.



ხელის მოწერა მიიღება 1910 წლისათვის

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„მომავალი“

1910 წელსაც გამოვა იმავე პროგრამით, როგორც წელს გამოდის. გაზეთის წლიური ფასი თფილისში და თფილისს გარეთ 7 მან., ნახევარ წლით 4 მ., საზღვარ-გარეთ 14 მ. წლით, ნახევარი წლით 7 მ. ხელის მოწერა მიიღება თფილისში „მომავალი“-ს კანტორაში, ბათუმში, სამტრედიაში და ქიათურაში რკინის გზის მკაფეებში, ქუთაისში ის. კვიცარიძესთან, ჩოხატაურში ს. თავართქილაძესთან—წიგნის მაღაზიაში, ოზურგეთში—მ. თალაკვაძესთან, ხიდისთავში ნ. კობიძესთან, ფოთში პ. ურუშაძესთან.

ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Тифлисъ, тип. «Шрома», Калистрату Конст. Цуладзе.



სოფიო გამყრელიძისა, ევა და მაშო, გიგლა გამყრელიძე და დათიკო ივანეს ძე ჭელიძე, აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი საყვარელი შვილის, მეორენი ძმის, მესამე ძმისწულის და მეოთხე ცოლის-ძმის

ზაქარია მაქრო ზაქარიას ძის გამყრელიძისას

დასაფლავება მოხდება ორშაბათს 7 დეკემბერს, რომელსაც თავის ბინიდან (ვეძინის ქ. № 18) გაასვენებენ სამების ეკკლესიაში და წირვის შემდეგ დაკრძალავენ წმ. ნინოს სასაფლაოზე.

გულ-დამწვარი მშობლები ალექსანდრე და ლისა, ძმები: გიორგი და მიშა, რძალი სოფიო და ძმისწული საშენა საბახტარიშვილები, გულ-მწუხარეთ აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ტრაგიკულ გარდაცვალებას ძვირფასის

ილიუშა საბახტარიშვილისა.

პანაშვიდი ყოველ დღე შუადღის ხუთი საათიდან—საკუთარ სახლში. (ფოთი ლიალინის ქუჩა). დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

სალომე იოსების ასული ზედგინიძისა, ერასტო კონდრატის-ძე პანოვი, ანნა პავლეს ასული ჯანგაძე და ეკატერინე პანტელეიმონის ასული პაპიაშვილი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი საყვარელი მეუღლის, დანარჩენები ბიძის, მილიციის პრაპორშჩიკ

ივანე ალექსისძე ზედგინიძის

გარდაცვალებას. პანაშვიდები ყოველდღე საღამოს 7 ს. ცხედარს გამოასვენებენ 8 დეკემბერს, დილის 10 საათზე. ანტონოვის ქუჩა № 24, და დაკრძალავენ კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. 2—1

ისიდორე, მეუღლე მისი ნიფადორა, სილოვან და ევგენი კვიცარიძეები, და მათი მართა ასათიანისა გულის მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს ძვირფასი მამის

დეკანოზ გრიგოლ სვიმონის-ძის კვიცარიძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველ დღე. დასაფლავება მოხდება სამშაბათს, 8 დეკემბერს, ნაშუადღევის 4 საათზე სოფელ ოფურჩხეთში, რომელიც ქუთაისიდან 11 ვერსის მანძილზე მდებარეობს.

სადღესასწაულო — ავლაბრის თეატრი — წარმოდგენა

(დირექცია ამო-ხარაზიანი)

კვირას, 6 დეკემბერს 1909 წელს

ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის 30 წლის სასცენო მოღვაწეობის ალსანიშნავათ

ქართველთა და და სომეხთა დრამატიულ ხელოვნების მოყვარეთა შეერთებული დასების მიერ ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

1. ქართულად — ორი ობოლი — მე-5 მოქ. დენიერისა, თარგ. ცაგარლისა.
2. სომხურად — დაქცეული ოჯახი — მე-2 მოქ. გ. სუნდუკიანცისა.
3. ქართულად — ხანუმა — 1-ლი მოქ. ა. ცაგარლისა.
4. საკონცერტო განყოფილება,

რომლის დროსაც ქართულ-სომხურ დრამატიულ ხელოვნების მოყვარულნი მიულოცავენ იუბილიარს დღესასწაულს. ქართული მომღერალთა გუნდი შეასრულებს რამდენიმე სიმღერას ბ-ნ ჩარკვიანის ლოტბარობით, ხოლო სომხურ მომღერალთა გუნდი ბ-ნ მურადიანისა.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ✦ ადგილების ფასი 10 კ.-დან 80 კ.-მდე.

ამ წარმოდგენის შემოსავალი გადაცემა გაბუნია-ცაგარელს.

ვისაც სურს დღესასწაულში მონაწილეობა მიიღოს, უნდა მიმართოს ავლაბრის თეატრის დირექციას ყოველ დღე დილის 10 საათიდან საღამოს 8 საათამდე. და დრამატიული საზოგადოების კანტორაში ი. იმედაშვილ—ხაშმელს.

რეჟისორი ს. სვიმონიძე — გამგე თ. ნასიძე

არც ერთ თამბაქოს ქარხანას არ შეუძლია კონკურენცია გაუწიოს ღირსებით ახლათ გამოშვებულ პაპიროსებს:

„Дружба“ и „Товарищъ“ — 20 ცალი 5 კაპეიკი

ყოველ დღე იყიდება 200,000 ცალი.

ი ყ ი დ ე ბ ა ყ ვ ე ლ გ ა ნ.

თამბაქოს ქარხანა ნ. ი. ბოზარჯიანცისა შვილებით. 10—8

კბილის ექიმი

ი. შ. ჭანტურია

იღებს ავათმყოფებს დილით 8—12 ს. საღამოთი 3—7 ს.

კვირა-უქმე დღეს 9—1 საათ. ავჭალის № 71 (კიროჩნი ქუჩის ახლოს).

დ. ქიათურაში კბილის ექიმი

ე. ტ. ლორის-მელიქოვი

ღებულობს ავათმყოფებს დილის 10—2 საათამდე და ნაშუადღევის 4 საათიდან 8 საათამდე.

ადრესი: გ. გაჩეჩილაძის სახლი, ვოგზლის ახლოს.

კბილის ექიმი

რომანიშვილი—დემბუაძისა

იღებს ავათმყოფებს 2—6 საათამდის. პლომბის გაკეთება, კბილის ამოღება და ხელოვნური კბილების ჩასმა ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასად. მოსწავლე ბავშვებს დაკლებულ ფასებში.

ახალი ბინა: ავჭალის ქუჩა № 34.

ს ა ხ ა ლ ხ ო უნივერსიტეტი

ქალაქის სახალხო სახლი გ. ი. ზუბალაშვილის სახელობისა

კვირას, 1909 წ 6 დეკემბერს

ა. ი. ხატისოვი წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე:

ლ. ანდრეევის უკანასკნელი ნაწარმოები

ანფისა და ანათემა

ლექცია დაიწყება დღის თორმეტ საათ. ადგილების ფასი ორი შაურიდან ათ შაურამდე.

კბილის ექიმი

ს. ვაშაყმაძე

დილით მიიღება ავათმყოფები 11 საათიდან 2 საათამდის. საღამოს 5—7 ვერის დაღმართი სახ. 15.

ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობა

ამით აცხადებს, რომ კვირას, დეკემბრის 6-ს სამეურნეო ბანკში დანიშნულია

წლიური საზოგადო კრება

განსახილველი საგნები:

1. 1908 წ. ანგარიში.
2. სარევიზიო კომისიის მოხსენება.
3. 1910 წ. სავარაუდო ხარჯთაღრიცხვა.
4. მიმდინარე საქმეები.
5. ახალი წევრების მიღება.

კრება დაიწყება დილის 11 ს. (4—4)


## თფილისი, 6 დეკემბერი

ქართულ სხვადასხვა საზოგადოებებს გარეგნულათ ყოველივე ის წესები აქვთ, რაც სხვაგან: გამგეობებიც, სარევიზიო კომისიებიც თავის დროზე და რიგზე ირჩევიან, საზოგადო კრებებიც ჩვეულებრივი და არაჩვეულებრივი იმართება; პირველი შეხედვით გამოდის, რომ თვითეული ამ ორგანოთაგანი თავის ადგილზეა, თავის პირდაპირ დანიშნულებას და მიზანს ემსახურება, მაგრამ თუ ჩავუკვირდებით ნამდვილ მათ მოქმედებას, მაშინ ადვილათ დავრწმუნდებით, რომ ჩვენი პირველი შეხედვის შთაბეჭდილება ნამდვილი როდი ყოფილა, ის მხოლოდ მოჩვენებითია, ნამდვილი სახე კი სულ სხვას გვეუბნება. ავიღოთ ჩვენი წერა-კ. საზოგადოება, რომელიც უკვე 30 წელია არსებობს, რომელსაც გამგეობაც ჰყავს საზოგადო კრებისაგან არჩეული, სარევიზიო კომისიაც, რომელიც ვალდებულია თვალ-ყური ადევნოს გამგეობის მოქმედებას და შესავალ-გასავლის ყოველ უსწორ-მასწორობას დროზე მოუღოს ბოლო და საზოგადოება ააცილოს ყოველივე ზარალს. ასრულებს განა ერთი რომელიმე მათგანი თავის მოვალეობას? საუბედუროთ, არა. ამას მოწმობს სხვათა შორის თვით გამგეობის მოხსენება, რომელიც დღეს საზოგადო კრებას წარედგინება და შეეხება ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიის რევიზიას. ამ მოხსენების ერთი ადგილი შემდეგს გვეუბნება: „ამგვარათ, საზოგადოების წიგნის მაღაზიის საერთო დანაკლისი, რომელიც რევიზიამ აღმოაჩინა, შემდეგი არის: გვაკლია წიგნებით 2282 მან. 07 კ., ფასდადების ანგარიშებით 2704 მ. 90 კ. და ნისიათ გაცემულ წიგნების ანგარიშით 1442 მან. 06 კ., სულ—6429 მ. 03 კ. ამ ჯამიდან დანაკლისი წიგნებისა—2282 მ. 7 კაპ. და ფასდადების ანგარიშებისა—2704 მ. 90 კ. უკვე შეტანილია ზარალათ წარსულ წლის საზოგადო ანგარიშში, ხოლო უსაბუთოთ განისიებულ წიგნების მოსალოდნელი ზარალი (1442 მ. 6 კ.) ჯერ კიდევ არ შეგვიტანია ზარალათ. გამგეობა აგროვებს ცნობებს თვით იმ პირთაგან, რომელთაც ჩვენს დავთრებში ვალათ აწერიათ ზემოაღნიშნული 1442 მ. 6 კ.“ ყოველივე ეს შავით თეთრზეა დაწერილი გამგეობის მოხსენებაში, ამას მოგვითხრობს დაინტერესებული ორგანო—გამგეობა, მაშასადამე, აქ მიმატებული და მოგონილი არაფერი არაა და ჩვენი „საზოგადოებისთვის“ კი თანხა —6429 მ. 3 კ. ძლიერ საგრძნობელია, მით უფრო, რომ ამ თანხაში ურევია ბევრი მანეთები ისეთი პირებისაც, რომელნიც ყოველდღე ოფლსა ღვრიან და უკანასკნელ ძალ-ღონეს კარგავენ ზავოდებ-ქარხნებში; მიუხედავათ ათასგვარ გაჭირვებისა, ისინი წლიურათ იხდიან საწევრო ფულს „საზოგადოების“ სასარგებლოთ და ეს ფული იმის მაგიერ, რომ წერა-კითხვის გავრცელების საქმეს მოხმარდეს, ვილაცეების ჯიბეში მიჩხრიალებს. გამგეობა, როდესაც ეს გამოაშკარავდა, ეძებს დამნაშავეს. მერე ვინ უცვნიათ დამნაშავეთ? „გამგეობამ ჯერ ის საკითხი განიხილა, თუ ვინ უნდა ყოფილიყო ცნობილი პასუხის-მგებლათ იმ დანაკლისისა, რომელიც აღმოჩნდა, და, საგნის ყოველ მხრივ აწონ-დაწონვის შემდეგ მიიღო ასეთი დადგენილება: პასუხის-მგებლათ ცნობილ იქნა უმთავრესათ მაღაზიის გამგე შ. ქუჩუკაშვილი, მაგრამ მასთან ერთათ მდივანიც, კანტროლის გაუწევლობისათვის“. ამას გვეუბნება იგივე მოხსენება. თურმე მეისრე ყოფილა დამნაშავე, როგორც მიღებულია ხოლმე ბიუროკრატიულ წრეებში; მაშ, ის უნდა განდევნილ იქნეს და საქმეც გამოკეთდება. არა, ჩვენ ამას ვერ დავეთანხმებით, ჩვენ დამნაშავეთ მიგვაჩნია არა მარტო მაღაზიის გამგე ბ. ქუჩუკაშვილი და გამგეობის მდივანი, ჩვენ უნდა ამ მხრით შორს წავიდეთ და დამნაშავის სკამზე უნდა წამოვასკუპოთ თვით გამგეობა, გამგეობაზე უფრო სარევიზიო კომისია, რომელიც ყოველწლიურათ თავის სტერეოტიპულ მოხსენებას უდგენს ხოლმე საზოგადოებას: „ანგარიში საზოგადოთ სწორეთ არის შედგენილი და იქ გამოცხადებული ბალანსი, აგრეთვე შემოსავალ-გასავლის ნუსხაც მოყვანილია სრულად თანახმათ იმ დავთრებთან, რომელსაც გამგეობა აწარმოებს და გამგეობის მიერ ნაანგარიშევი „საზოგადოების“ ნაღდი ფული და სარგებლიანი ქაღალდები, იმავე დავთრების თანახმათ უკლებლივ ინახება ბანკებში“, ასეთია ჩვეულებრივ სარევიზიო კომისიის მოხსენების გეგმა და ხასიათი, ამნაირათ ასრულებენ ისინი თავის მოვალეობას, ასეთია მათი კანტროლი. უკანასკნელი მოხსენებაც სარევიზიო კომისიის იმგვარივე ტიპისაა, როგორც სხვა დროის. წიგნის მაღაზიის შესახებ მხოლოდ იმას ამბობენ, რომ „იმედია სამწუხარო მოვლენა „საზოგადოებას“ შემდეგში ასცდება“ და ერთი სიტყვით არ ლაპარაკობენ იმაზე, თუ რატომ მოხდა ამდენი ფულის დაკარგვა, რატომ 30 წლის განმავლობაში ერთხელ მაინც არ შეამოწმა სარევიზიო კომისიამ წიგნის მაღაზია, ეს მით უფრო საჭირო იყო, რომ საზოგადო კრებაზე არა ერთხელ და ორხელ გამოთქმულა გაკვირვება, რომ წიგნის მაღაზიას თითქმის ზარალის მეტი სარგებლობა არაფერი მოაქვსო. ჩვენთვის სარევიზიო კომისიის სიჩუმე გასაგებია: დანაშაულით თავის თავიც უგვრძნია და გაჩუმება ამის დამამტკიცებელია და სხვა არაფრის. ჩვენ ვერც საზოგადო კრებებს გავამართლებთ ამ შემთხვევაში. როდესაც საზოგადო კრებას გამგეობა ყოველ წელს უდგენდა იმისთანა ანგარიშს, რომლის შესწავლას და გაგებას ორი-სამი საათი სრულიად არ ყოფნის, როდესაც სარევიზიო კომისიის მოხსენება ყოველთვის უფრო ფორმალური მხარის შესრულება იყო და არა საქმის ნამდვილი შესწავლა, ერთხელ მაინც უნდა აერჩია მას საზოგადო კრებიდან რამდენიმე კაცი, რომლებიც შეისწავლიდენ წიგნის მაღაზიის შეუმოსავლიანობის მიზეზს და საზოგადო კრებას თვალს აუხელდენ საქმეზე და მომავლისათვის სწორ გზაზე დააყენებდენ. დღესაც წიგნის მაღაზიის გარდა კიდევ ბევრი ქონება აქვს „საზოგადოებას“, რომლის არსებობა შეიძლება მხოლოდ ქაღალდზე იყოს და ნამდვილათ კი, წიგნის მაღაზიის ისტორია სჭირდეს. სხვანაირათ ჩვენ საბუთიც არ გვაქვს ვიფიქროთ, ამიტომაც საზოგადო კრება ვალდებულია 1908 წლის ანგარიშს სანამ საბოლოოთ დაამტკიცებდეს, აირჩიოს საქმის მცოდნე კაცები და საერთო რევიზია გაუკეთონ „საზოგადოების“ ყოველივე ქონებას და თავისი მოხსენება წარმოუდგინონ არა ჩვეულებრივ კრებას და გასული წლის ანგარიშიც მაშინ იქნეს დამტკიცებული და არა დღეს. თუ ვინმე ამაში დაინახავს საზოგადო კრების მიერ უნდობლობის გამოცხადებას, ეს ჩვენი ბრალი როდია. დამნაშავენი თვითონ ისინი არიან და უნდობლობაც ამიტომ დაუმსახურებიათ.

## პრესა

პეტერბურგში ვინმე ნ. ჩაპოვი აღმოჩნდა.

მან ჯერ-ჯერობით მხოლოდ ერთი წერილით „ისახელა“ თავი, რომელიც დიდი ხანი არაა, რაც „ზაკავკაზიე“-ში დაიბეჭდა. როგორც „ზაკ.“ და „ბაკუ“ გვამცნობენ, ნ. ჩაპოვი ფსევდონიმია და ეკუთვნის ერთ ცნობილ და ნიჭიერ რუს პუბლიცისტს, რომელიც დიდათ გაცნობილი ყოფილა როგორც ქართველებში, ისე სომხებში. წერილის თემაც ამ კურთხეულს (ჩაპოვს) „შესაფერი“ აურჩევია. წერილში ის ეხება ქართველ-სომეხთა დამოკიდებულებას, მარა თავისას კი არ ამბობს რაიმეს ამ ორი ერის შესახებ, არამედ—ალაპარაკებს სომხებს—დეპუტატ სალათელიანს და ერთსაც სომეხ მოხელეს („ჩინოვნიკს“). „მოქმედება“ (მუსაიფი) სწარმოებს პეტერბურგში, ერთ-ერთ კერძო ბინაზე, რუსის ოჯახში. მუსაიფის თემაა თფილისის საგუბერნიო საერობო თათბირის მუშაობა და მისი შედეგები. მოსაუბრენი თათბირის შემადგენლობას ორ ნაწილათ ყოფენ: ერთ ნაწილს შეადგენენ სომხები, რომელსაც ხატისოვი ბელადობს, მეორეს—ქართველები და მეთაურობს გვაზავა. ასე რომ, თათბირზე, მოსაუბრეთა წარმოდგენით ცხარე ეროვნული ბრძოლა სწარმოებს. ბრძოლის შედეგი ასეთია: გვაზავა „ამარცხებს“ ხატისოვს, ე. ი. ქართველები სომხებს სჯობნიან. თათბირის მუშაობის ასეთ შედეგს „კერძო ბინაზე“ მყოფი სომხები გაუჯავრებია. ჯერ ბობჩინსკი-დობჩინსკის როლი შეუსრულებიათ. უთქვამთ: „იცოდეთ, ამა და ამ ადგილას სომხები ცხოვრობენ!“-ო და მოყოლიან იმაზე მსჯელობას—თუ რა გზას უნდა დაადგენ საქართველოში მცხოვრები სომხები, რომ ქართველებმა არ „ჩაყლაპონ“. „საფრთხის“ თავიდან ასაცდენათ ჩაპოვი სალათელიანს და სომეხ ჩინოვნიკს „არა საკადრის ზომების“ მიღების საჭიროებაზე ალაპარაკებს.

ჩაპოვის მიერ „ზაკ.“ მოყვანილი ფაქტები სალათელიანმა უარყო—არაფერი იმის მსგავსი არ მითქვამს, რასაც ჩაპოვი მაწერსო, რაზედაც, ჩაპოვმა დეპეშით

აცნობა „ზაკავკაზიე“-ს, რომ კი სთქვათ და სხ., მარა ხსენებული „მუსაიფი“ „ზაკ.“ მაინც გადაიტანეს ზოგიერთმა ადგილობრივმა ორგანოებმა თავიანთ ფურცლებზე და ამით თითონ ეს ორგანოებიც ჩაებენ იმ „პოლემიკაში“, რომელიც „კერძო ბინიდან“ ჯერ „ზაკ.“-ში იქნა გადმოტანილი. ამრიგათ „გაჩაღდა“ ნაციონალური ბრძოლა. არც გასაკვირია: იტყვიან—„თაფლი იყოს, თორემ ბუზი ბაღდადიდანაც კი მოვაო“. და აი, სწორეთ ეს „თაფლი“ პეტერბურგიდან თფილისში იქნა „გადმოტანილი“ და რათ არ უნდა ისარგებლონ ადგილობრივმა „ბუზებმა“ მაინც. ჩვენ **განზრახ** არ მივაქციეთ ჩვენი მკითხველების ყურადღება ამ „მოვლენაზე“ ერთი იმიტომ, რომ ვიცით—თუ რა ალაპარაკებთ სხვა და სხვა ჯურის ნაციონალისტებს „კერძო ბინებზე“ და „სალამოებზე“: მათი მიზანი ყველასათვის აშკარაა: მათ სურთ ასეთი ხელოვნურათ შექმნილი პირობებით თავიანთ ნაციონალურ ზრახვებს დაუქვემდებარონ იმათი აზრი-გონებაც, ვინც სრულიადაც ამაზე არ ფიქრობს და მეორეც—ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, თუ რა პოზიციები ეჭირათ საერობო თათბირზე გვაზავას ან ხატისოვს. იყო თუ არა ამ თათბირზე ორი ერი ერთმანეთზე დაპირდაპირებული და სხ. ყველამ იცის, რომ თათბირზე ის პირნი, რომელთა მიმხრობას ცდილობდენ, როგორც გვაზავა ისე ხატისოვი—ორივეს პირს აბრუნებდენ და «თავისი გზით» მიდიოდენ. ამიტომ ჩვენ, ვინც აქ გავეცანით საქმის ვითარებას, ჩაპოვის მიერ „საქმის გაცნობას“ და ისიც პეტერბურგიდან არ ვსაჭიროებდით. ჩვენთვის ერთი რამ ცხადია: შოვინისტი რის შოვინისტია, თუ „კერძო ბინებზე“ გინდ სხვა ადგილებში „საგმირო“ საქმე არ „გაიჩინა“, რომ შემდეგ „ღირსეული“ სახელი ატარონ. ალბათ, ასეთი „ღირსეული“ სახელის სატარებლათ იმუსაიფეს პეტერბურგშიაც ერთ „კერძო ბინაზე“ რაც, რასაკვირველია, ნაკლებათ გვაინტერესებს, მარა „ხმაურობა“ თანდათან მატულობს და ვისაც თავიდანვე არ უდევნებია თვალ-ყური, ეგონებათ, რაღაც დიდი ამბავი ხდებაო.

ჩვენ არას ვეტყვით ამის წინეთ „დროებაში“ მოთავსებულ წერილების ავტორს, სათაურით—„კავკასიის ერთობა“?! ბ. ალაროდიელს, რომელიც ხსენებულ წერილებში კავკასიის ერთობას შეუძლებლათ სცნობდა და, რომელიც ეხლა „საქართველოს მოამბეში“ სწერს:

„რომ წინათ გამოსულიყო ეს წერილი (ჩაპოვის წერილი) მეც „ეჭვს“ გავაძლიერებდი და მაშინ პირდაპირი საბუთი მექნებოდა მეთქვა, რომ ჩვენში ზოგიერთ ელემენტთა შორის ერთობა შეუძლებელია, რადგან მათი იდეალები და მისწრაფებანი მართლაც პირდაპირ ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს“ და სხ.

აქ ალაროდიელს ჩვენი მხრით არაფერს ვეტყვით, რადგან მეორე სტრიქონზე სწერს:

„სოლიდარობის მოტრფიალე“ ხალხი მომაძახებს,—აქ სომეხი რა შუაშია, აქ ერთი „ჩინოვნიკი“ და ერთი დეპუტატი—სადათელიანი ლაპარაკობენო. ორი კაცის აზრს მთელ სომხობას ნუ ახვევ თავსაო; კარგი და პატიოსანი. ამ ორ სომეხზე ვილაპარაკოთ...

„კარგი და პატიოსანი“, ჩვენც ვიტყვით, თუმცა წერილში შემდეგ ბ. ალაროდიელი ერთ კორიანტელს აყენებს, მარა დავანებოთ ამასაც თავი და შევეხოთ ჩვენი მეზობლის—„დროების“ პოზიციას. მან ამ საკითხს წერილები უძღვნა, რომლითაც ჩვეულებრივათ—როგორც შეფერის „დარბაისელ“ გაზეთს „პროტესტი და აღშფოთებაც“ გამოსთქვა. ის სწერს:

თუ სომხის საზოგადოება მართლაც და სადათელიანის მრწამს აღიარებს, „აღშფოთება“ ძლიერ სუსტი სიტყვაა ჩვენი გრძნობის გამოსახატავათ“.

ვინაიდან

„ბ-ნი სადათელიანი „დაშნაკცუთიუნის“ წარმომადგენელია. რამდენიმე წლის წინათ „დაშნაკცუთიუნი“ ჩვენთან სოლიდარობას და მეგობრობას გვქადაგებდა. ეხლა კი, გვეუბნებიან: რუსეთის რეაქციონურ მთავრობას უნდა მივცეთ ხელი, რუსების კოლონიზაციასაც სიხარულით მივეგებებით, ქართველებსა და სომხებს შორის არსებული უთანხმოება გავაღრმავოთო“.

ნეტავი თუ მართლა სწამდა „დროებას“ დაშნაკცუთიუნის ფიცი სოლიდარობაზე, ნუ თუ არ ახსოვს ერთი მრავალთაგანი შემთხვევის—ერთი შეთანხმების ისტორია „დაშნაკცუთიუნთან“. ვის შეუთანხმდა ის?. თქმულეპა—„ყოველი ბუზი ბზუის, ფუტკართან ყველა სტყუისო“—სწორეთ ზედ გამოჭრილია „დაშნაკცუტიუნზე“. ისინი ყველასთან „ბზუიან“, ყველასთან სტყუიან. განსაკუთრებით ბევრს სტყუიან სომხის მშრომელ ხალხთან. ასევე «ბზუიან» ჩვენი ნაციონალისტური პარტიები და, რა თქმა უნდა, ასევე „სტყუიან“.

ეს ნაციონალისტურ პარტიათა საზოგადო სენია. ისინი ყველასთან „ბზუიან“ და იმავე დროს ყველასთან „სტყუიან“. ამის შემდეგ არც გასაკვირია, თუ სადათელიანი და ძმანნი მისნი კიდეც „ბზუიან“ კიდეც სტყუიან.

ამავე „საკითხს“ ეხება გაზეთი „ბაკუ“. ჯერ-ჯერობით მან ამ საკითხს ერთი ფელეტონი უძღვნა სათაურით—„სომეხთა საკითხი საქართველოში“. ხსენებული გაზეთის გარშემო ბაქოელი სომხის ინტელიგენციაა შემოკრებილი. ერთი სიტყვით, დიდი მოძრაობაა „თაფლის“ გარშემო...

* * *

„დროება“ ჭეშმარიტათ აღუშფოთებია გუშინწინდელ ჩვენს პრესას თავ. მაჩაბლის გარშემო ატეხილი პოლემიკის შესახებ. პირველი შეხედვითვე შეატყობთ გაზეთს, რომ „აღშფოთებულია“. მის „ნარკვევში“ ჩვეულებრივზე მეტია შავი ასოებით „მომავლის მეპრესეს“—სათაურათ, რითაც მკითხველის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს, მარა დავანებოთ ამას თავი და საგანზე გადვიდეთ.

„დროება“ ისტორიას სწერს. მაშ, მოვუსმინოთ: „ზაკავკაზიე-“ში

მაჩაბელი არწმუნებდა თავის აუდიტორიას, საქართველოს სათათბიროში თავის წარმომადგენელნი არა ჰყავს, რადგან ს-დემოკრატი-დეპუტატები ქართველ ხალხის მისწრაფებათა გამომსახველათ არ ჩაითვლებიანო. ამის წინააღმდეგ ორიოდე მკვახე სიტყვა უთხრა „მომავალი“-ს მეპრესემ მაჩაბელს და ის გარემოება კი, რომ მაჩაბელმა დაამდაბლა და შეურაცხყო ილია ჭავჭავაძე, მეპრესის ყურადღება თითქმის არ მიიქცია. და ამ გარემოების გამო მას არა უთქვამს-რა. არ განუმარტებია ის აზრი, თუ რაგვარათ გამომდინარეობს მაჩაბლის სიტყვიდან ილია ჭავჭავაძის შეურაცხყოფა. სამაგიეროთ, ამ გარემოებას მიაქცია ყურადღება „დროებამ“. და ამ საგანს ორი მეთაურიც უძღვნა: ერთი მაჩაბელს, მეორე „ზაკავკაზიეს“.

„დროებამ“ „ყურადღება“ მიაქცია და „ორი მეთაური“ დაბეჭდა 2 დეკემბერს. „მომავალმა“ კი, 24 ნოემბერს ე. ი. მთელი **რვა დღით** ადრე. აი რა ეწერა „მომავალის“ 24 ნოემბრის პრესაში (№ 73). მოყვანილია მაჩაბლის სიტყვიდან შემდეგი სტრიქონები: მაჩაბელი ამბობს —ჩვენი თავად-აზნაურ. დროშაზე აწერია:

რწმენა ღვთისა, მეფისა სიყვარული და სამშობლოს ერთგულება.

„მომავალი“ ეკითხება მაჩაბელს:

რით განირჩევა ეს დროშა მოსკოვის მონარქისტების დროშისაგან? სრულიად არაფრით. და აი, მაჩაბელი თავის სიტყვის მეტ ნაწილს ამ დროშის დაცვას ანდომებს. **ის იქამდისაც მიდის, რომ ი. ჭავჭავაძეც ამ დროშის მატარებლათ გამოჰყავს და ჰგონია, რომ ამით მის სახელს და პატივს იცავს?** (ხაზი ახალია).

ამის შემდეგ თვით მკითხველმა დასდვას „დროების“ შემდეგ სტრიქონებს მსჯავრი:

«ნამდვილათ კი, «მომავალს» ერთი სიტყვითაც არ გაუხსენებია „შეურაცხყოფის“ საკითხი და მან ახლათ გუშინ გაიმეორა „დროების“ მოსაზრებანი ამ საგნის შესახებ».

მართალია, ჩვენ „ორი მეთაური“ არ დაგვიწერია ამის შესახებ, მარა გვგონია, ისიც საკმარისი იყო, რაც ვთქვით, ვინაიდან, ვიღაც შავრაზმელის შეურაცხყოფაზე პასუხათ—„გაფუთხება“ და „მოშორებაა“ ერთად-ერთი ჩვენი პასუხი, თუ გინდ შეურაცმყოფელი „კონსერვატორი პროგრესისტი“ იყოს. ამ მოსაზრებით ამისთვის დიდი ყურადღებაც არ მიგვიქცევია. ჩვენი ყურადღება „დროების“ მიერ „მოწმობის გაცემამ“ მიიქცია. „დროება“ კი, თავს იმართლებს, მარა, რომ იტყვიან: „ფიცი მწამს ბოლო მაკვირვებს“-ო ისე მოსდის. ეს „ბოლო“ კი ისე სჩანს, რომ თავის მკითხველებსაც ველარ დაუმალავს, როგორც ეს „შეურაცყოფის საკითხში“ მოიმოქმედა. „დროება“ სწერდა:

ბ-ნი მაჩაბელი, ჩვეულებრივი სიტყვა რომ ვიხმაროთ, ნამდვილი კონსერვატორია და მასთან იმგვარი, რომელსაც თავისი კონსერვატორობა პროგრესიულ და სასარგებლო მოვლენათ მიაჩნია“.

ყველა დაგვეთანხმება, რომ ზემო მოყვანილი სტრიქონები ბუნდოვანია. არ არის გარკვევით ნათქვამი: ვისთვის მიაჩნია,—თავისთვის თუ სხვისთვის,—კონსერვატორობა მაჩაბელს პროგრესიულ და სასარგებლო მოვლენათ. ამიტომ ჩვენც შევეკითხეთ „დროებას“—„ვისთვის“? მას ჰგონია, ჩვენ დასკვნა ასეთი გავუკეთეთ:

„ვისთვის“ მიაჩნია კონსერვატორობა პროგრესიულ მოვლენათ? ხალხისთვის! „ვის“ მიაჩნია კონსერვატორობა პროგრესიულ მოვლენათ? გაზეთ „დროებას“. აკი, ამიტომაც მისცა მან ჩუმათ პროგრესისტობის მოწმობა მაჩაბელს“.

ასე დაამახინჯა „დროებამ“ ჩვენი ნათქვამი. ჩვენ ერთი სიტყვითაც არ გვითქვამს, რომ გაზეთ „დროებას“ მიაჩნია პროგრესიულ და სასარგებლო მოვლენათ მაჩაბლის კონსერვატორობაო, ეს არც გვითქვამს და არც ვამბობთ. „დროება“ ჩვენსა და მაჩაბელს შორის მესამე პირია და ამბობს: **მაჩაბელს მიაჩნია** თავისი კონსერვატორობა პროგრესიულ და სასარგებლო მოვლენათო. ბავშვიც კი მიხვდება, რომ „დროებას“ მაჩაბლის სიტყვები არ მიეწერება. მაშ, რათ ღებულობს თავის თავზე? „ქუდი ხომ არ ეწვის“?

„პროგრესისტობის მოწმობის“ მიცემა კი „გამოიწვია“ „დროების“ მიკიბულ-მოკიბულმა ლაპარაკმა და არა იმან, თითქოს საზოგადოთ, ის კონსერვატორებს პროგრესისტობის მოწმობებს აძლევდეს. ჩვენი სიტყვები—„არც შამფური და არც მწვადი“ სწორეთ „დროების“ მიკიბულ-მოკიბულ ლაპარაკს გამოხატავდა. მას „ორ სკამზე“ ჯდომას ამხილებდა. დასასრულ არ შეგვიძლია მკითხველის ყურადღება არ მივაქციოთ „დროების“ ჩვენდამი მომართულ საპასუხო წერილის ბოლოს:

„ვინა სთქვა, რომ დაკნინდა ქართული მწერლობა და სულიერ დეგენერატობის კვალი დაემჩნია ქართველ მწერლების ნაწარმოებებს“-ო?

აბა, მართლა ვინ იტყვის ასეთ რამეს, როცა, ღვთის მადლით, „დროების“ მეპრესის მაგვარი ლიტერატორები ჯერ კიდევ ბლომათ უდგია სათავეში ქართულ მწერლობას და თავისი „მადლიანი კალმებით“ ასეთი „უკვდავი“ განძით ავსებენ სამშობლო ლიტერატურას...

## სახელმწიფო დუმა

(სააგენტოს დეპეშებიდან.)

**4 დეკემბერი**

4 დეკემბერს სახელმწიფო დუმის სხდომაზე განაგრძეს ადგილობრივ სასამართლოთა რეფორმების შესახებ კანონ-პროექტის მუხლების განხილვა. ილაპარაკა მრავალმა ორატორმა. დეპუტატმა ანტონოვმა მოიყვანა სტატისტიკური ცნობები რამდენი არა რუსნი ცხოვრობს რუსეთში და აღნიშნა, რომ იმ ადგილებში, სადაც არა რუსნი ბევრნი ცხოვრობენ, საჭიროა საჩივრები და სხვა, ადგილობრივ ენაზე სწარმოებდეს და უკეთუ მოსამართლემ ეს ენა არ იცის, თარჯიმანი იყოლიოსო. ანტონოვი ამტკიცებს, რომ ასეთი წესები შემოღებული იყო ალექსანდრე მესამეს დროს ბალტიის მხარეში. ამ საკითხმა დიდი კამათი გამოიწვია. მემარჯვენეებმა ბევრი ზიზღით სავსე სიტყვები დახარჯეს ამ კითხვის წინააღმდეგ. იუსტიციის მინისტრმა აღნიშნა, რომ ადგილობრივი ენების ხმარება ბალტიის მხარეში დროებით იყო შემოღებული და არ შეიძლება სამუდამოთ დაკანონდეს. ლაპარაკობენ ტიმოშკინი, ზამისლოვსკი, გოლდზიცკი, ლიახნიცკი, პავლოვიჩი, როდიჩევი და სხვანი. მემარჯვენე ორატორები წინააღმდეგნი არიან ადგილობრივ ენების შემოღების სასამართლოს საქმის წარმოებაში. ჩხეიძე ეხება იუსტიციის მინისტრის სიტყვას და აღნიშნავს, რომ გაბატონებულ ხალხის დამცველათ აქ გამოვიდა თვით ის მინისტრი, რომელიც თვით უკანონობის და თვითნებობის განხორციელებაა. ის მინისტრი, რომელმაც თვალ-სახვევი ჩამოგლიჯა ფემიდას და ჩააბარა მას ჯაშუშ-პროვოკატორის როლი (მარცხნით ტაშის ცემა, მარჯვნით ყვირილი! საქმეზე!) თავმჯდომარე სთხოვს ორატორს კითხვას ნუ უხვევს. ჩხეიძის აზრით, როცა მარჯვნით აყენებენ ლოზუნგს: „რუსეთი რუსებისთვის» ამით ის კი არ იგულისხმება, რომ „რუსეთი ველიკორუსებისთვის“ არამედ—„რუსეთი ველიკო-პაგრომ შჩიკებისათვის“ (მარცხნით ტაშის ცემა და სიცილი; მარჯვნით: სტვენა) რუსეთის ხალხი—მუშები და გლეხები მხარს მოგვცემს ჩვენ, უკეთუ ამ ტრიბუნიდან დავსძახებთ! „გაუმარჯოს რუსეთის ყველა ერებს, ძირს შავრაზმელები და შავრაზმელი მინისტრები (მარცხნით ტაშის ცემა). შემდეგ ლაპარაკობენ: ქსენძი მაცევიჩი, კაპუსტინი და როდიჩევი. როდიჩევის სიტყვის დროს დარბაზში საშინელი ხმაურობა ასტყდება. მემარჯვენეები დორბლებს ყრიან პირიდან და მაგიდებზე სცემენ და ყვირიან—«გააგდეო». თავმჯდომარე აცხადებს, რომ ორატორს მაშინ ავუკრძალავ სიტყვას, როცა ამის საბუთი მექნება და ახლა კი არავითარი საბაბი არ მოუციაო. მემარჯვენეები არ სცხრებიან. პავლოვიჩი გამოიღებს ფიცარს პიუპიტრიდან და რაც ძალი და ღონე აქვს აბრახუნებს. თავმჯდომარე იძულებულია სხდომა შესწყვიტოს. დეპუტატთა უმრავლესობა დარბაზში რჩება. აჯემოვი მემარჯვენეებისკენ მიდის. მისკენ გამოექანება ტიმოშკინი და ერთმანეთს გაცხარებით ელაპარაკებიან. ბოლოს ეცემიან ერთი მეორეს და გაიმართება ხელჩართული ომი. აჯემოვს და ტიმოშკინს აშველებენ. თავმჯდომარე იძულებულია სხდომა სრულიად დახუროს. შემდეგი სხდომა დანიშნულია 7 დეკემბერს.

## დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**5 დეკემბერი.**

**საზღვარ-გარეთ**

**ვენა.** დეპუტატთა პალატის სხდომა 56 საათი გრძელდება. ინციდენტი არ მომხდარა.

**სიდნეი.** საკანონმდებლო კრებამ მიიღო გაფიცვების შესახებ კანონი. კანონით გაფიცვის დამწყებთ ერთ წლამდე ციხე მოელის, დამხმარეებს—ორი თვის ციხე პოლიციელებს უფლება ეძლევათ შევიდენ იქ, სადაც გაფიცვის შესახებ კრება იქნება. კანონი უკრძალავს შეკრებას იმ გაფიცვის შესახებ მოსალაპარაკებლათ, რომელიც ეხება პირველ საჭირო სანოვაგეს. გაფიცულთა კონგრესმა წინადადება მისცა მუშებს დაიწყონ მუშაობა.

**ვენა.** დილის რვის ნახევარ საათზე რეიხსტაგის სხდომა შეუწყვეტლათ გრძელდება. გუშინ სალამოს და დღეს დილით ქანდრებიდან ხალხმა არა ერთხელ შესწყვიტა სხდომა ობსტრუქციონისტების წინააღმდეგ ყვირილით.

**პარიჟი.** სენატმა მიიღო მთავრობის რედაქციით კანონ-პროექტი მოხუცებულობის დროს მუშათა უზრუნველ-ყოფის შესახებ.

**ათინა.** ფინანსთა მინისტრმა დეპუტატთა პალატაში 1910 წლის ბიუჯეტი წარადგინა. შემოსავლის სრული ხარჯი უდრის 146,041,122 დრახმას.

**ბუდაპეშტი.** კოშუტის პარტიამ გამოაქვეყნა თავისი ადრესის პროექტი, რომ დეპუტატთა პალატას შეეძლო დაეწყო ბაუჯეტის განხილვა, რომ ის ნდობით აღჭურვილ კაბინეთს წარედგინა.

**ვენა.** შუადღიდან სხდომა გაგრძელდა უინციდენტოთ.

**ბუდაპეშტი.** მინისტრ-პრეზიდენტმა შეიტანა დეპუტატთა პალატაში 1908 ხარჯთ-აღრიცხვის ანგარიში და 1910 წ. დროებით ანგარიში. დაიწყო ცხარე კამათი.

**პარიზი.** ხირურგ პეანის ძეგლის კურთხევის შემდეგ ოფიციალური კორტეჟი ფალიერის მეთაურობით პეანის სახელობაზე აგებულ საავათმყოფოსკენ გაემართა. გზაზე როიალისტებმა მატისის სასარგებლოთ მანიფესტაცია გამართეს, რომელიც ფალიერის შეურაცხყოფისათვის დასაჯეს. დაიჭირეს 19 კაცი, მაგრამ შემდეგ გაანთავისუფლეს.

**რუსეთი.**

**პეტერბურგი.** მთავარმა სამხედრო სასამართლომ განიხილა ძმებ ლევანდოვსკების საქმე, რომელთაც ელისავეტპოლის სასამართლომ სამი წლით ტუსაღთა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა მიუსაჯა მამის მოკვლისათვის. სასამართლომ საქმე ხელმეორეთ გასარჩევათ დააბრუნა.

## კაპიტალის წარმოშობა

(შემდეგი)

„განთავისუფლებულ“ გლეხებისთვის საჭირო გახდა კაპიტალისტური დისციპლინის ჩანერგვა, [illegible] რომ ეს საჭიროა, ამას აშკარათ ამჩნევდა ინგლისის [illegible] გლეხკაცობა „განთავისუფლებულ“ იქნა, მაგრამ, მიუხედავათ ამისა, კაპიტალისტურ მეურნეობას არ ყავდა ჯერ კიდევ სასურველი კონტინგენტი მუშებისა. ერთი რომ, გადიდგულებული, ყოფილი მესაკუთრე გლეხი, ითხოვდა მაღალ ხელფასს. მეორე—ხშირათ და ხშირათ, ყოფილი გლეხი და ეხლა პროლეტარი, მძიმე სამუშაო მოწყალების თხოვნას ამჯობინებდა. მონასტრები თავშესაფარს აძლევდენ უსაქმურ მოხეტიალე ხალხს: მოწყალებას ურიგებდენ და კვებდენ მათ. ლორდები სასტიკად ამხედრდენ ამის წინააღმდეგ.

—როგორ, ჩვენ მუშა ხელი გვაკლია და მონასტრები უსაქმურობას და ზარმაცობას აქეზებენ!—ამისთვის მონასტრები სასტიკათ იქნა დასჯილი. მათ ჩამოერთვა ქონება. მათხოვრობის წინააღმდეგ გამოცემულ იქნა დარაკონისებული კანონები. ისჯებოდა, როგორც მათხოვარი, ისე მოწყალების მიმცემი. —ვინც მოწყალებას (ჯანსაღი მათხოვარი) ითხოვს, დასჯილ იქნას მათრახით და შემდეგ ციხეში ჩამწყვდეული. მათრახი მანამდის უნდა სცემონ, სანამ სისხლი არ გადმოსჩქეფს; მიუხედავათ ამისა, გამათრახება არ უნდა შესწყდეს; მხოლოდ მაშინ შესწყდეს გამათრახება, თუ დამნაშავე იძლევა პირობას დაბრუნდეს იქ, სადაც ცხოვრობდა ამ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში და ხელს მოკიდებს მუშაობას. თუ მეორეხელ იქნა ვინმე შემჩნეული მოწყალების თხოვნაში, წინანდელ სასჯელს მიემატება ყურის მოჭრა—მესამეხელ—სიკვდილით დასჯა. (კანონები გენრიხ მე-VIII 1530 წ.) ვინც მთავრობას შეატყობინებს ეს და ეს პირი მათხოვრობსო—მას მიეცემა ეს უკანასკნელი მონათ. პატრონი ვალდებულია კვებოს მონა პურით და წყალით. პატრონს აქვს უფლება ძალ-დატანებით ამუშაოს მონა. თუ მონა ჯიუტობს, პატრონს უფლება აქვს როზგით დასაჯოს ის. თუ მონა ორი კვირით წავიდა, მას მიესჯება სამუდამო მონობა და ლოყაზე დაშანთვა. თუ ის მესამეხელ გაიქცევა—დაისჯება სიკვდილით (კანონები ედუარდ მე-VI 1547 წ.) ტომას მორი (უტოპია) ამბობს: ლორდებმა ხელში ჩაიგდეს მთელი ინგლისის მიწათმფლობელობა. ასე თუ ისე, აიძულეს გლეხობა მიეტოვებიათ თავიანთი სახლ-კარი, ქალი და კაცი, ქვრივი და ობოლი, დიდი და პატარა, მტირალი დედები და ძუძუ მწოვარი ბავშვები ყველანი სტოვებენ თავიანთ ბედკრულ კერას და მიდიან შორს სამშობლო ადგილებიდან. ერთბაშათ აყრილნი იძულებულნი არიან ჩალის ფასათ გაყიდონ თავისი ღარიბი ქონება. უგზო-უკვლოდ დახეტიალებენ ბედ-კრულნი და ვერსად ვერ პოულობენ თავშესაფარს. უკანასკნელი სალსარი გამოელიათ. სხვა რა გზა დარჩენიათ, ქურდობას უნდა მოკიდონ ხელი, მაგრამ ქურდობისთვის ხომ სახრჩობელა მოელით; ან იმათხოვრონ, მაგრამ ამ უკანასკნელ შემთხვევაშიც მათ სასტიკათ სდევნიან: ამათრახებენ, ციხეში აგდებენ, კატორღაში გზავნიან, შანთავენ, სიკვდილით სჯიან.

მარტო გენრიხ მე-VIII მოკლე მეფობის დროს 72,000 ამ გვარი იძულებითი ქურდები და მათხოვრები სიკვდილით იქნა დასჯილი.

ამ გვარათ, გლეხ-კაცობა, ძალით გაღატაკებული, არეკილი თავის ადგილ-მამულიდან, მათხოვრათ ქცეული, ტერორისტულ კანონებით დამორჩილებული იქნა დისციპლინას, რომელიც საჭირო იყო კაპიტალისტური წარმოებისათვის.

დღეს, როცა კაპიტალისტური წარმოება მეფობს, სამუშაო ძალის მოწესრიგება ჩაბარებული აქვს ეკონომიურ კანონებს. ასე არ ყოფილა იმ დროს, როდესაც კაპიტალისტური მეურნეობა ახლათ ღონიერდებოდა. პირველ ხანებში თავის განვითარებისა, კაპიტალისტური მეურნეობა საჭიროებდა გარეშე დახმარებას. ამგვარ დახმარებას და ძლიერ ენერგიულს მას იმ თავიდანვე უწევდა მთავრობა.

1349 წ. ინგლისში გამოცემულ იქნა კანონი, სადაც განსაზღვრული იყო (მაქ-

სიმუმი) სამუშაო ქირისა, აკრძალული იყო მეტი ხელ-ფასის მიცემა, ვიდრე ეს ნაჩვენები იყო კანონში. ისჯებოდა ორივე მხარე ამ კანონის დარღვევისთვის, მაგრამ მეტი სასჯელი ქონდა მუშას. ვინც მეტ ქირას აძლევდა, ისჯებოდა ათი დღის ციხით. მუშათა კავშირები გამოცხადებულ იქნა უდიდეს დანაშაულობათ და სხვა.

მ. ზეგნელი.

(შემდეგი იქნება)

# წერილები სპარსეთიდან

15

### ქალაქი თეირანი

გაათავეს ჩამოწერა ყველა იმ თავისუფალი მეომრებისა, ვისაც სურდა არდებილში წასვლა და დაიშალენ.

ჩვენ კი სახლში მიგვიპატიჟა მუიზ სალთანმა, სადაც მუსაიფის დროს ის აზრი გამოსთქვა, რომ თუ სხვა სახელმწიფოები თავისას არ დაიშლიან, ჩვენ იძულებული ვიქნებით სამღვთო ომი გამოვაცხადოთ და არამც თუ სპარსეთის, არამედ—მთელი ქვეყნის მუსულმანობა ფეხზე დავაყენოთ!..

დიახ, თქვენ ნუ გიკვირთ! ისლამის სამღვდელოება—თავის ქადაგებით, შეურაცხყოფილი ხალხი—თავის ენერგიით, თავგანწირვით, ჩვენი დედები და დები—მათი ნამუსის ახდის შიშით, შესძლებენ თავისუფლების აღდგენას, ან ისე სიკვდილს, რომ ქვეყანა შესძრან და გააშტერონ...

— მერე თქვენ ამით ხომ ხალხს ველურობამდის მიიყვანთ, მთელ ქრისტიანობას გადიკიდებთ, ახალ ფეხ-ამდგარ სპარსეთს კულტურის გზიდან ააცდენთ და სამღვდელოების მონობაში ჩააგდებთ ისედაც ფანატიზმით შეპყრობილ ხალხს? —შევეკითხეთ.

— დიახ, როდესაც განათლებული ევროპა გულზე ხელ-დაკრეფილი შეჰყურებს, როგორ ლახავენ ჩვენ თავმოყვარეობას, როგორ ურცხვათ აფათურებენ ჩვენ სულსა და გულში ხელს, მაშინ ჩვენ რაღა ვიწამოთ კულტურული ევროპის?! განა განათლება იმიტომ აქვთ, რომ დინჯათ უცქირონ როგორ დაანგრიეს და ტყვიებით დახვრიტეს ჩვენი სისხლით მოპოებული თავისუფლება—მეჯლისი?! განა გაბედავდა შახი მეჯლისის დანგრევას, საუკეთესო ორატორების წამებას, რომ ევროპას ხმა ამოეღო, განა ყველა ეს მოხდებოდა? ჩვენ კარგათ ვიცით, ვინც დაგვიჭირა მხარი განმათავისუფლებელ ბრძოლაში! ეს ისევ ძველი მეზობლები იყვნენ. ჩვენ ადვილათ ვერ დავთმობთ დამოუკიდებლობას...

გაათავა სიტყვა მასპინძელმა და ჩაი მოგვაწოდა, რომელიც ის იყო მოსამსახურემ მოგვართვა ვერცხლის ფოდნასით.

9 ოქტომბერს, დილას შევიარეთ არსენალის მოედანზე პოლიციის სამმართველოში. შესასვლელი კიბე ახლათ შედგენილ ჟანდარმების ფორმაში გამოწყობილი დარაჯებითაა გაკრული თოფხმლით—აქაური პოლიციის როლს ესენი ასრულებენ.

უნდა შევნიშნოთ აქვე, რომ სპარსეთმა დღემდის არ იცის ცალკე სამხედრო-პოლიციური კასტები. აქ არიან ასისები—ღამის ყარაულები უფორმოთ, ჯოხით შეიარაღებულნი; არც ჟანდარმი, არც სააქციზო მოხელენი. თუ ვინმე დასაჭერია ან დასასჯელი, სამღვდელოება გადასწყვეტს: ეს კი ღვთისაგან მოვლინებული კანონია და ასრულებენ უბრალო პირები. ამიტომ ხალხმა არ იცის შიში პოლიციელის, მორიდება-კანკალი „უფროსის“ წინაშე. ყველა ეს დაწესებულებანი ეხლა ისახება სპარსეთში, თვით ჯარიც ახლა იწვრთნება და სამხედრო ორგანიზაცია, ფორმები ყალიბდება.

ყველა ეს ხალხს არ მონწონს და ვერ გაუგია—რისთვისაა ეს საჭირო.

მაღლა ასასვლელი კიბე და კედლები წითელი ხალიჩითაა შეფენილი. კიბის თავში დარაჯები დგანან და თოფებით არიან ჩამწკრივებული. ძირის ოთახებში და მაღლა პოლიციის მოხელეებია. შუა ზალაში კი ახლათ დაარსებული საბაჟო განყოფილებაა.

დღემდის სპარსეთში ბაჟი არ იყო არაყზე, თუთუნზე, თრიაქზე (ოპიუმია, რომელსაც ხალხი წევს და ასულელებს-აშტერებს). ახლა ბაჟი დაადვეს ყველა ამას და რადგან სახელმწიფო მოუწყობელია... ამიტომ ზოგიერთ დაინტერესებულ პირებს სურთ ეს საქმე იჯარით აიღონ.

ზალაში თავრიზის საავათმყოფოს ფერშალი სომეხი ა—ნი შემხვდა და მოსვლა მომილოცა... ის ეხლა აქციზის შემოსავალ-გასავალ განაგებს აქ!.. მთელი აქციზის მოხელენი ფორმაში გამოწყობილნი, თათრული ქუდით, ხმალ-ნიშნებით, დაშნაკციუტუნების წევრებია... არც ერთ ჰანჩაკისტ-სომეხს, ან სხვას არ ღებულობენ და თათრებსაც თავის საკბილოს არჩევენ!.. თუ რა ბოროტების ჩადენა შეიძლება უპასუხისმგებლო მმართველობაში, სადაც წერა-კითხვის მცოდნე ხალხიც ცოტაა, ეს თქვენ თითონ წარმოიდგინეთ...

ცოტა ხანს შემდეგ შემოვიდა საშუალოზე მაღალი ტანის, შავ წვერ-ულვაშიანი, ასე, 30—35 წლის ვაჟკაცი, რომელსაც მაუზერი ჰკიდია, თავზე შავი ქუდი ხურავს და რამდენიმე შეიარაღებული დაშნაკციუტუნები შემოყვენ. მის შემოსვლაზე ყველანი ფეხზე ადგენ და განკარგულება მოისმინეს.

ეს იყო ეფრემი. ის გაგვაცნეს ჩვენ და ორთავე ცალკე მის კაბინეთში შევედით, რომელიც ლამაზათაა მორთული ხალ-მდივნებით. მუსაიფის დროს მან აღნიშნა სპარსეთის ინტელიგენტების ძალების უქონლობა, საქმის დაუდევრობა, მლიქვნელობა, გარყვნილება და თქვა: აქ მაგარი ხელია საჭირო. პარტიების ცალ-ცალკე მოქმედება ზარალს მოუტანს მხარეს. თუმცა დაუნახავია სპარსეთი, მარა ჩვენ ვეცდებით დავუმტკიცოთ, რომ ჩვენ ირანის კეთილდღეობისთვის ვიბრძვითო!..

ამ დროს მოიყვანეს რამდენიმე მოლა და ერთი ახალგაზდა ყმაწვილი ბიჭი დაჭერილები. აღმოჩნდა, რომ მოლებს საიდუმლო ორგანიზაცია-კანტორა ქონიათ: ატყუილებენ ბავშვებს, ან ყიდულობენ და სპარსეთის სხვადასხვა კუთხეებში უგზავნიან მდიდარ ხანებს... ეს მოლები შემთხვევით გაებენ მახეში და დაატყვევეს—ასეთი ამბავი აქ არ იწვევს აღშფოთებას. მოლები დაატყვევეს და ეფრემი მომიბრუნდა და მითხრა: რა უნდა ქნას კაცმა ასეთ ხალხშიო...

მე ჩემი შთაბეჭდილება ვუთხარი ეფრემს: ჩვენ ვერ შევრიგებივართ იმ აზრს, რომ თქვენ, რომელსაც სპარსეთში მებრძოლნი ს. დ. დროშის ქვეშ მყოფნი გაქებენ, როგორც მებრძოლს, პოლიციის და ჟანდარმის როლში გამოხვედით!..

მე თითონ ვგრძნობ ამას, მე არ მინდოდა ამ როლის აღება, მარა თეირანი ისეთ უპატრონო-უწეს-რიგოთ იყო, რომ საქმე გამიჭირეს თითონ სპარსელებმა და ძალათ მაკისრეს ეს როლი... თითონ დაშნაკცაკანების პარტიაშიაც ორი აზრია ამის შესახებ და მე ვფიქრობ, მეჯლისის გახსნის დროს დავანებო თავი, რადგან მეც არ ვარ კმაყოფილიო—დარცხვენილით მითხრა ეფრემმა.

ეფრემი რუსულს, თათრულ და სომხურს კარგათ ლაპარაკობს. ვაჟკაცური, დინჯი გამომეტყველება აქვს. ის კატორღიდან გაქცეულა და მის დანაოჭებულ მაღალ შუბლს ეტყობა—ამ კაცს ბევრი რამ გადახედია ცხოვრებაში...

სპარსელების ნაწილი უკმაყოფილოა ეფრემის: ის დაშნაკცაკანების პოლიტიკა-პარტიის სასარგებლოთ მუშაობს, ბანკში ფულები აქვსო და სხ... მარა ეს ჩვენ არ გვაინტერესებს აქ.

ვლასა მგელაძე

# ახალი ამბები

† **მარჯორი უარდროპი.** რუმინიის დედა ქალაქ ბუქარესტში გარდაიცვალა ჩვენში კარგათ ცნობილი ინგლისელი მწერალი ქალი მარჯორი უარდროპი. განსვენებული თოთხმეტი წლის წინათ ესტუმრა საქართველოს თავის ძმასთან ოლივერ უარდროპთან ერთათ და მას შემდეგ დიდი სიყვარულით სწავლობდა ქართველთა ცხოვრებას და ლიტერატურას და აცნობდა ინგლისელებს. მან ისე კარგათ შეითვისა ქართული ენა, რომ სულ თავისუფლათ კითხულობდა და სწერდა. თავის აქაურ მეგობრებთან და ნაცნობებთან მუდამ ქართულათ ჰქონდა მიწერ-მოწერა. კეთილი გულის პატრონი იყო განსვენებული და გულ-წრფელათ უყვარდა საქართველო. „საქართველო ჩემი მეორე სამშობლოა“ ამბობდა განსვენებული. ის გულ-მოდგინეთ სწავლობდა ქართულ ლიტერატურას და სთარგმნიდა საუკეთესო ნაწარმოებებს. გადათარგმნა და გამოსცა ინგლისურათ, სხვათა შორის, ილია ჭავჭავაძის პოემა „განდეგილი“. თუ არ ვცდებით, მანვე გადასთარგმნა საბა-სულხან ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუე“. აცნობდა ინგლისელებს ქართველების ცხოვრებას, აწმყოს და წარსულ ზნე-ჩვეულება-ხასიათს, ჩვენებურ ბუნებას და სხვ. ამ 14 წლის განმავლობაში ის მუდამ იწერდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებს. [illegible] დასაწყისში შვიდ თუმანს [illegible] უგზავნიდა წერა-კითხ. საზოგადოებას ჟურნალ-გაზეთებ-წიგნებისათვის. ცხედარს დაკრძალავენ ინგლისში, ბელმონტში, სადაც მისი მამაა დასაფლავებული. («დრ.»)

✦ **ეკზარხოსის ნიკონის** მოკვლის გამო იუსტიციის სამინისტრომ სინოდს აცნობა, რომ დამნაშავეთა აღმოუჩენლობის გამო საქმის წარმოებას ვსპობო.

✦ **წ. კ. გ. საზოგადოების** წლიური საზოგადო კრება დღეს სამეურნეო ბანკში მოხდება. განსახილველი საგნებია: 1) 1908 წლის ანგარიში, 2) სარევიზიო კომისიის მოხსენება. 3) 1910 წ. სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა. 4) მიმდინარე საქმეები, 5) ახალი წევრების მიღება.

გამგეობის და სარევიზიო კომისიის მოხსენება, წიგნის მაღაზიის რევიზიის შესახებ და გამგეობის მოხსენება სამუზეუმო შენობის აგების შესახებ რედაქციამ მხოლოდ გუშინ მიიღო. სხდომა დღის 11 საათზე გაიხსნება.

✦ **საღამო ი. ჭავჭავაძის სახელობაზე.** ილ. ჭავჭავაძის სახელობის საღამო მოსკოვში, რომელიც უნივერსიტეტის შენობაში გამართა ქართველ სტუდენტთა წრემ, როგორც გვატყობინებენ, საინტერესოთ ჩატარდა. საღამოს გამგეთ ითვლებოდა პროფ. ალ. ხახანაშვილი, რომელმაც საღამოს დაწყების წინ წაიკითხა ლექცია.

✦ **გულიშამბაროვის ბიბლიოთეკა.** საქალებო უმაღლეს კურსების დამაარსებლებმა თხოვნით მიმართეს ქალაქის გამგეობას, რათა მათ საკუთრებაში გადაეცეს გულიშამბაროვის მიერ ქალაქზე შეწირული ბიბლიოთეკა. ქალაქის გამგეობამ თხოვნაზე მათ უარი უთხრა, რადგან გულიშამბაროვის მიერ დადებული პირობა მათ ნებას არ აძლევს მათი თხოვნა დააკმაყოფილოს.

✦ **ქალაქის გამგეობამ** უარყო გუბერნატორის წინადადება მოკლულ პოლიციელების ქვრივებისათვის პენსიის დანიშვნის შესახებ საპენსიო წესდების 144 მუხ. ძალით.

✦ **საოსტატო ინსტიტუტი.** საგანგებო კომისიამ სამოსწავლო ოლქის მზრუნველთან ერთათ დაათვალიერა მიდამო „ვაკეს“ ადგილები საოსტატო ინსტიტუტის შენობის ასაგებათ. და სასურველათ იც.

---

# კითხვა

### სონეტი

ჰოი, ტანჯულო!
მაშვრალთა მხარევ!..
იმედ-მიხდილო,
კვალათ მძინარევ!
მარქვი, გამანდე,
გულის მხილება,
ნეტავ თვალნი როს
აგეხილება?!
როდის იქნება
კაცთ გლოვის ზარი
შესწყდეს... აჰყვავდეს
მუნ მთა და ბარი?!
. . .პასუხს არ მაძლევ...
მხარევ... ღრმათ გძინავს...
შენი მგოსანიც,
მოსთქვამს და გმინავს!..

გ. ქურიშვილი

## სტუდენტი ივანოვი.

(შემდეგი)

აი სახლიც, დიდი, ლამაზი, მრავალი ფანჯრებით და ძვირფასი ფარდებით დამშვენებული. მსხვილი, მდიდრულათ მორთული მეკარე კარებში იდგა. ივანოვი მას მიუახლოვდა.

— ვინ გინდათ?—შეეკითხა მეკარე და უკმაყოფილოთ ახედ-დახედა.

— აქ გიმნაზიელისათვის მასწავლებელი უნდი იყოს საჭირო...—უთხრა ივანოვმა.

მეკარე რამოდენიმე წუთს კიდევ თვალით სინჯავდა და ჩუმათ იდგა, თითქოს ითვალისწინებდა შეეშვა თუ არა. ბოლოს კარებისაკენ თავი გადაიქნია და წაილაპარაკა:

— შედით, მეხუთე ბინა იკითხეთ. ივანოვი ადიოდა მდიდრულათ მორთულ კიბეზე და თან კარებზე მიკრულ ნომრებს კითხულობდა. ვიღაც სტუდენტი დაძველებული, გახვრილი შარვლით ჩამოდიოდა და მას მოჩერებოდა. „უთუოდ გაკვეთილისათვის მოვიდა“, გაუარა ივანოვს თავში—ალბათ, არ აიყვანეს. ამით რაღაც შვება იგრძნო და გულში იმედის ნაპერწკალმა გაუარა. მას უკან სიჩქარით მოსდევდა ფერ-მკრთალი, ლოყებ ჩაცვეთილი სტუდენტი და თან მძიმედ სუნთქავდა. „უთუოდ ესიც გაკვეთილისათვის მოდის“, გაიფიქრა ივანოვმა და გულში რაღაც რყევა და მტრული გრძნობა დაებადა სტუდენტისადმი, რომელიც უკან მოსდევდა. უნდოდა მეხუთე ბინასთან პირველი მისულიყო და უფრო გრძლათ ლაჯვა იწყო, მაგრამ მეორე სტუდენტიც ჩქარობდა და თითქოს წამოეწია კიდეც.

აი კარებიც ზედ წარწერით „5.“ ივანოვი დადგა კარებთან და ზარს ხელი დაავლო. მეორე სტუდენტი იმის უკან დადგა და ხშირი სულთქმით ივანოვს კისერში უბერავდა. შიგნიდან ვიღაც კარებთან მოვიდა, გასაღებმა გაიხმაურა და კარებიც გაიღო.

— აქ სურთ მასწავლებელი ბავშვისათვის?..—შეეკითხა ივანოვი კოპწიათ გამოწყობილ, თეთრ წინ-საფრიან ქალს.

— დიახ, აქ, მაგრამ, ვგონებ, უკვე დაიჭირეს, უპასუხა მან,—დაიცადეთ ცოტა და ვკითხავ ქალბატონს. ამ სიტყვებით მოხურა კარები და ქალი ისევ უკან გაბრუნდა. დიდხანს იცადა ივანოვმა და მასთან ერთათ მეორე სტუდენტმაც. ორთავე რაღაც უხერხულ მდგომარეობაში გრძნობდენ თავს და ორთავეს გული სევდას მოეცა. მეორე სტუდენტს უცბათ ხვეღება აუარდა და სტვენის ხმაზე შეუწყვეტლათ ახველებდა, რის გამოც სუნთქვა კიდევ კარგა ხანს შეუჩერდა. ბოლოს გასაღების ხმა მოისმა და მოსამსახურე ქალი ისევ გამოჩნდა.

ივანოვმა მსწრაფლ გადაავლო თვალი და უნდოდა მისი სახის გამომეტყველებაში ამოეკითხა პასუხი.

— ქალბატონს უკვე დაუჭერია მასწავლებელი, სთქვა ქალმა.

— დაუჭერია?—იკითხა ივანოვმა, მაგრამ ქალმა აღარა უპასუხა და საჩქაროთ კარები მოხურა. მის გვერდით მდგომი სტუდენტი ჩქარი, რაღაც ქანაობის მსგავსი სიარულით დაეშვა ძირს. ივანოვი უყურებდა მის გახუნებულ, არა ერთგან დაკერილ პალტოს და ფიქრობდა—„უთუოდ ჰლექიანია“. წინ კიდევ ჩამსხვილებული მეკარე, კიდევ დიდ შუშიანი კარი, კიდევ სისველე და კიდევ სიცივე. ივანოვი ჩქარი ნაბიჯით მიდიოდა ქვაფენილზე და კითხულობდა ჯიბეში დარჩენილ განცხადებებს. ყველა გამოცხადებული ბინები ერთი მეორისაგან შორს იყო, ქალაქის სხვა და სხვა კუთხეებში. ის უკვე სიცივესა გრძნობდა და ფიქრობდა: ეხლა რომ პურით ჩაი დაელია და ესაუზმა, მაშინვე გათბებოდა და დაღლილობაც გაუვლიდა. მოაგონდა, რომ სამი დღე არა ეჭამა რა.

შემდეგ გაახსენდა დიასახლისი, რომელიც ყოველ დღე იხარშვიდა თავისთვის სადილს პატარა სანავთეზე. საჭმელი გემრიელ სუნს ავრცელებდა მთელს დერეფანში. ახლა მის ოთახში სითბო და სიმშრალე იქნება და იგი კი უთუოთ საუზმობს. შეიძლება იმაზედაც ფიქრობდეს, მიუტანს თუ არა ის, ივანოვი, მას ფულს. ხომ არ მიუტანოს, უთუოთ ისევ ბოროტათ დაუწყებს მზერას და ოთახიდანაც დაითხოვს. რაც უნდა ჰქნას, რაგვარათაც არ დაუწყოს რწმუნება, რომ გადახდა უნდა, მაგრამ საშვალება არა აქვს, სულ ერთია—ის არ დაუჯერებს. არ დაუჯერებენ სხვებიც.

ის აბიჯებდა ქვა-ფენილზე, უსველდებოდა ფეხები, ხვდებოდა ეტლის თვალთაგან განასროლი ტალახი, მის წინ ელვარებდენ ქალებისა და კაცების სახეები, ისმოდა ნაწყვეტებათ სიტყვები და სიცილი.

ივანოვი ფიქრობდა: „შეიძლება ყოველივე ამას უკანასკნელათ ვხედავ, შეიძლება ხვალ აღარც კი ვიქნე ქვეყანაზე. ეს ქუჩა კი წინანდელებრივ იხმაურებს, ისევ ივლიან ქალები და კაცები, ისევ იქნება ლაპარაკი და სიცილი და ამიტომ ხელ-ახლა აუტანლათ დაენანა მას თავისი თავი. დაენანა სიყმაწვილე, რომელსაც გაჭირვებასა და შრომაში გაუარია, დაენანა ხან მოკლე სიყვარული ახალგაზდა ქალთან, რომელმაც სამოთხესავით შეანათა მის ცხოვრებაში, დაენანა სამუდამოთ წარსული ბავშური წლები და ამით უცბათ შინაგანი სისუსტე იგრძნო. წარმოუდგა, რომ ამაოთ დადიოდა სიცივეში მშიერი და მოქანცული, რადგან მის წინ კედელი იყო აღმართული და მას არ შეეძლო გაერღვია იგი.

ბოლოს ივანოვი შეჩერდა. რამოდენიმე წამი უძრავათ იდგა და მძიმეთ სუნთქავდა. იხედებოდა ყოველმხრივ დი არ იცოდა კიდევ გაეგრძელებია სიარული თუ არა. მოღლილობა სულ უფრო და უფრო კიდებდა ხელს და ბოლოს შეზიზინება დაუწყო. უბერავდა ქარი და, პალტოს ქვემოდან შემძვრალი, მის სხეულს ეხებოდა. ივანოვი ისევ აჩქარებით წავიდა. გაახსენდა არაჩვეულებრივათ გატარებული ღამე, გაახსენდა მბჟუტავი სანთელი, სიცივე, სიბნელე, წვალება და სიკვდილის სიახლოვე. შეეშინდა ასეთი ღამის, შეეშინდა, რადგან დღე გადიოდა და თითქმის ღამდებოდა. სიბნელე მოიცავდა სახლებს, ადამიანებს, ბაღჩებს; დაიძინებდა ყოველივე და იქნებოდა ის მხოლოდ ერთი, მის მახლობლათ უმოძრაო ადამიანთა შორის.

მაინც მიდიოდა იგი ქვაფენილზე და კითხულობდა ქუჩების სახელებს და სახლების ნომრებს. დიდი ხნის სიარულის შემდეგ, პატარა, ერთ სართულიან სახლთან შეჩერდა, რომლიდანაც ხმაურობა არ მოისმოდა და ხალხიც იმდენათ არ მიდი-მოდიოდა. ის ავიდა დერეფანში და ხელი შეახო თუ არა ზარის ხის ხელს, ზარმაც დაიწკარუნა და ძაღლის ყეფაც გაისმა. შემდეგ ისევ სიჩუმე ჩამოვარდა და ვიღაც ნელის ნაბიჯით კარებთან მოსულმა გასაღები გადაატრიალა და კარები გააღო. მის წინ ჭაღარა, მშვიდი თვალებით მომზირალი სათვალებიანი დედაკაცი იდგა.

— აქ გაკვეთილებია გამოცხადებული გაზეთებში ბავშვისათვის,—სთქვა ივანოვმა.

— გამოცხადებული კი არის, მაგრამ გაკვეთილები აღარ არის,—უპასუხა დედაბერმა.

— უკვე დაიჭირეს? — იკითხა ივანოვმა.

— დიახ, დაიჭირეს. ვიღაც სტუდენტი იყო კარხალოვი თუ კარტალოვი კარგათ აღარ მახსოვს გვარი, — წაილაპარაკა ქალმა.

— შეიძლება სხვა რამ სამუშაო გქონდეთ?—კიდევ იკითხა ივანოვმა ოდნავ აკანკებული ხმით.

— სხვა რაღა უნდა იყოს?—არაფერი არ არის,—სთქვა დედაბერმა და ტუჩების ცმაცურით ჰკითხა:

— რომელი ფაკულტეტისა ბრძანდებით?

— მე მედიკი ვარ... უპასუხა ივანოვმა.—ოჰო,—ჩაილაპარაკა დედაბერმა და სათვალეების ზევიდან გადმოხედა.

რამოდენიმე წუთს ორთავენი სდუმდენ.

ივანოვმა პალტოს საყელო გაისწორა და ისეთი სახე მიიღო, თითქოს წასვლას ეპირებოდა, მაგრამ რაღაც ფერი მიდიოდა კი...

— რომელ კურსზე ბრძანდებით?—კიდევ ჰკითხა დედაბერმა.

— მესამეზედ,—მიუგო ივანოვმა.

დედაბერმა ხელ-ახლა აიცმაცურა ტუჩები, შემდეგ რაღაცას ყური მიუგდო და სახეზე მზრუნველობის გამომეტყველება დაეტყო.

— მშვიდობით ბრძანდებოდეთ,—წაილაპარაკა დედაბერმა,—წავალ, ოთახში სუპი მეხარშება, უთუოთ დუღს კიდეც. —ნელა თავი დაუკრა, მოხურა კარი და ნელის ნაბიჯით წავიდა.

— აქაც უბედობა,—იფიქრა ივანოვმა, რამდენიმე წუთი კიდევ შეჩერდა და ისიც ნელის ნაბიჯით დაეშვა დერეფნიდან. გამოვიდა ხელ-ახლა ქუჩაზე. დარჩენილიყო ორი ადგილი, სადაც არ ეკითხა და თუ აქაც ვერას გახდებოდა, მაშინ უნდა სადმე რევოლვერი ეშოვა და თავი მოეკლა.—კმარა წვალება, კმარა შიმშილი, სიცივე და დამცირება... სიცოცხლე უარსა ჰყოფს იმას, კედელი აღმართულია მის წინ, ხოლო ადამიანები ყრუნი არიან. საშინელებაა სიკვდილი, მაგრამ კიდევ უფრო საშინელებაა ასე სიცოცხლე...

რ. ღეჩხუმელი

(შემდეგი იქნება).

ნეს ამ ადგილზე საინსტიტუტო შენობის აგება.

✦ **მ. ჯაბარი** გუბერნატორმა დაამტკიცა ქალაქის საბჭოს მდივნის ადგილზე.

✦ **,,ორიზონი''** 2 ნახევარ თვის შეჩერების შემდეგ დღეს გამოვა ყოველდღიური სომხური გაზეთი ,,ორიზონი''.

✦ **ლექცია.** თფილისის რეალურ სასწავლებლის მასწავლებელი ა. ა. იაროშენკო განჯაში დღეს ლექციას წაიკითხავს ,,ჰაერში ფრენაზე''. ამავე ლექციას გაიმეორებს თფილისში, სახალხო სახლში. ლექციაზე ბუნდოვან სურათებს აჩვენებენ.

✦ **ოზურგეთიდან** გვატყობინებენ, რომ 30 ნოემბერს ღამით, თავს დაესხნენ სასულიერო სასწავლებლის ინსპექტორს, რომელიც თვით სასწავლებელში ცხოვრობს. რევოლვერი უსვრიათ და გაქცეულან. ინსპექტორი უვნებლათ გადარჩენილა.

✦ **,,ალმანახი''.** დღეს გამოვიდა ალმანახ „პირველი ტალღის'' მეორე ნომერი შემდეგი შინაარსით: მეთაური, ვეღი მეგობარს—დემონისა, სქესობრივი საკითხი და სკოლა—აჩრდილისა. ლექსი—ტაბიძისა, პრესა, ზნეობრივი აღზრდა—მემარცხენესი, ლექს —ქუჩიშვილისა, მოთხრობა—თურდოსპირელისა, ლექსი—ოქროცვარიძისა, ახალი ცირკულიარის გამო—ჰაგნელისა, მეგობარს—ჰალელისა, გლეხთა სოციალური მდგომარეობა—აბაშის-პირელისა, თფილისის სას. სემინარია—კესაშვილისა, ოზურგეთის სამოქალაქო სასწავლებელი კან-დონისა და სხვა.

✦ **შუამდგომლობა.** თფილისის ქალაქის თავის მოადგილემ შუამდგომლობა აღძრა გუბერნატორის წინაშე, რათა კავკასიის უმაღლესმა მთავრობამ ნება დართოს ქალაქს გამორიცხოს ქალაქის პოლიციის შესახებ ვალიდან 365,950 მან. 8 კ., რომელიც ქალაქმა დასაფასებელ გადასახადებში უნდა მიიღოს ადმინისტრაციისაგან.

✦ **ნამესტნიკის თანაშემწე.** მე-2 არმ. კორპუსის კომანდირი გენერალ-მაიორი მიშლევსკი ინიშნება ნამესტნიკის თანაშემწის შატილოვის ადგილას. შატილოვი სამხედრო ოლქის ჯარების კომანდირათ ინიშნება. (ბ).

✦ **„ნორა“-ს ხელ-ახალი გასამართლება.** ბავშვთა მზრუნველ საზოგადოებას განზრახვა აქვს „ნორას გასამართლება“ ხელ-ახლა გაიმეოროს.

✦ **ავათმყოფების მიღება** ახლათ გახსნილ არამიანცის სახელობის საავათმყოფოში 20 დეკემბრიდან დაიწყება.

✦ **დიდუბელების საქმე.** გუბერნატორი ქალაქის გამგეობას შეეკითხა იმის შესახებ, თუ რა მიზეზია, რომ ამდენ ხანს დიდუბელების თხოვნა არ არის დაკმაყოფილებული ქალაქის მიერ ქუჩის გაყვანის შესახებ საბავშვო[?] სკოლიდან მუშტაიდამდეო.

✦ **სასამართლო.** 4 დეკემბერს კავკასიის სამხედრო სასამართლოში გაირჩა საქმე კავკასიის მე-2 მსროლელ ბატალიონის პორუჩიკის ნ. ზახაროვისა, რომელსაც 11 წარსულ ოქტომბერს სპარსეთის ქვეშევრდომის კ. ტუმასოვის მოკვლა ბრალდებოდა. ნ. ზახაროვმა თავისი თავი დამნაშავეთ აღიარა და დაუმატა—მკვლელობის მიზეზი მოკლულის მიერ ჩემი პირადი ძლიერი შეურაცხყოფა იყოო. დამნაშავეს სასამართლომ ყოველივე ღირსების ჩამორთმევა და გამასწორებელ რაზმში 3 წლით გაგზავნა მიუსაჯა. დადგენილების სისრულეში მოყვანამდე, სასამართლომ ეს დადგენილება უმაღლესათ განსახილველათ გაგზავნა და შუამდგომლობს დადგენილ სასჯელის შეცვლას 8 თვეს ციხეში ჯდომით და რამდენიმეთ უფლების ჩამორთმევით.

✦ **დასაკლავი საქონელი.** ნოემბრის განმავლობაში თფილისში ჩამოუდენიათ 8,323 მსხვილ-ფეხი საქონელი, ამათგან გაუყიდიათ 616; წვრილ-ფეხი საქონელი ჩამოუდენიათ: 11,286; ამათგან გაუყიდიათ 11,286. აქედან ქალაქის სასარგებლოთ შემოსულა 1,793 მან. 5 კაპ.

✦ **საბავშო ჟურნალი.** ქ. თფილისის ერთ სამრევლო სკოლის მზრუნველს განუზრახავს გამოსცეს თფილისში საბავშო რუსული ნახატებიანი ჟურნალი; თფილისში არას დროს ამგვარი ჟურნალი არავის არ გამოუცია. მოთხოვნილება კი დიდია.

✦ **ავლაბრის თეატრი.** დღეს, 6 დეკემბერს, საღამოთი ავლაბრის თეატრში დანიშნულია ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის 30 წლის სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავათ საიუბილეო წარმოდგენა. ავლაბრის ქართულ-სომხურ დრამატიული ხელოვნების მოყვარეთა ამ დღისათვის შეერთებული დასები მართავენ ქართულ სომხურ წარმოდგენას. ქართული დასი გაბუნია-ცაგარლის მონაწილეობით წარმოადგენს მე-5 მოქმედებას „ორი ობოლიდან“ და 1-ლ მოქ. „ხანუმიდან“, ხოლო სომხური დასი გ. სუნდუკიანცის მე-2 მოქმედებას „დაქცეული ოჯახიდან“. დასასრულ გაიმართება საკონცერტო განყოფილება, რომლის დროსაც, უკავშირდებით ორთულ სცენაზე დამწკრივდებიან ქართული და სომხური სცენის მოყვარენი და მიულოცავენ დღესასწაულს. ამ დროს სცენაზევე იდგება ქართული და სომხურ მომღერალთა გუნდი და შეასრულებენ რამდენიმე სიმღერას. ქართულ ხოროს დირიჟორობს ბ-ნი ჩარკვიანი და სომხურს—ბ. მურადიანი. ანტრაქტებში დაუკრავს სიმებიანი ორკესტრი.

## ქ. შ. წ.-კ. გამავრც. საზ. წლიური საზოგადო კრების საყურადღებოთ.

(წერილი ოზურგეთიდან)

ბევრია ისეთი პროვინცია თფილისის და ქუთაისის გუბერნიებში, სადაც ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების განყოფილებები გაიხსნა. გურიაში კი, რომლის კულტურულ დაწესებულებისადმი მისწრაფებაში ეჭვის შეტანაც არ შეიძლება, ამ საზოგადოების განყოფილება არ არის. ამის მიზეზი უმთავრესათ ერთის მხრით გურიის აწიოკება-განადგურებაში უნდა ვეძიოთ, მეორეს—მხრით საწევრო გადასახადის სიდიდეში. ჩვენ დარწმუნებული ვართ იმაში, რომ თუ საწევრო გადასახადი არ იქნა შემცირებული, ამ საზოგადოებას არამც თუ ახალი განყოფილებები მიემატება, ის ოცდა ათ წევრიანი განყოფილებებიც დაეხურება, რომლებიც ამ ერთი წლის განმავლობაში გაიხსნა.

გამოცდილებით ვიცით, რომ პირველათ ადვილათ ეწერებიან ამ საზოგადოებაში, მაგრამ შემდეგ საშუალოდ შეძლებულ წევრსაც კი უჭირდება სამი მანეთის გადახდა და ჩაწერილ წევრებიდან მხოლოდ ერთი მესამედიდა რჩება ნამდვილ გადამხდელი წევრათ. რომ ამ საზოგადოების წლევანდელ წლიურ საზოგადო კრებაზე საწყალი მოხდეს და ამ საზოგადო კრების მესვეურებმა ინებონ საწევრო გადასახადის ერთ მანეთამდე დაკლება—გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ მარტო გურიაში ხუთას წევრამდე ჩაეწერება საზოგადოებაში და ასე მოხდება სხვა განყოფილებებშიაც, სადაც, გვიმეორებთ, ჯერჯერობით თუ ცხო—30 წევრია, მომავალში შეიძლება ათ-ათიც არ დარჩეს, თუ ისევ სამი მანეთი დარჩა საწევრო გადასახადი. საწევრო ფულის დაკლებით ქართველი ხალხის ფართო მასსას საშუალება ეძლევა მონაწილეობა მიიღოს ამ დიახაც დიდათ სასარგებლო კულტურულ დაწესებულებაში, საწევრო ფულის დაკლებით არამც თუ დაიკლებს, გადიდდება კიდეც საზოგადოების შემოსავალი, რასაც შედეგათ მოჰყვება საზოგადოების მოქმედების გაფართოვება. საჭიროა გავიხსენოთ, რომ პოლონეთში, მსგავს საზოგადოებებში ათიათასობით და ასი-ათასობით ითვლებიან წევრები და არა ასობით, როგორც ეს ჩვენშია. ამის უმთავრესი მიზეზი ხუთ შაურიანი საწევრო გადასახადია და არა სამი მანეთი, როგორც ეს ჩვენშია.

კითხვა ძლიერ მარტივად სდგას: სასურველია თუ არა მომავალ წლიურ საზოგადო კრებისთვის, რომ ქართველი ხალხის ფართო მასსას ადგილი ჰქონდეს ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში? და თუ სასურველია, ინებებს თუ არა ეს კრება საწევრო გადასახადის შემცირებას? ამის პასუხს ამ საზოგადოების ექვსი დეკემბრის წლიური საზოგადო კრება მოგვცემს. მანამდე, კი ჩვენ ვიტყვით, რომ თუ ამ კრებამაც არ მისცა ქართველ ხალხს ხსენებულ საზოგადოებაში მონაწილეობის უფლება, ამით ჩვენ ერთხელ კიდევ დავრწმუნდებით, რომ ჩვენ მოღვაწეებს კიდევ აქვთ შიში იმ ერის, რომლისთვისაც ისინი ვითომდა აგრე რიგად იღწვიან.

ს. ცხომელიძე.

# უკანასკნელი ფოსტა

## შორეული აღმოსავლეთი

**ჩინეთის პარლამენტი.** ჩინეთის პარლამენტი გაიხსნება მომავალი წლის აპრილში. პარლამენტი შედგენილი იქნება 100 დეპუტატისაგან, რომელნიც 22 პროვინციაში იქნებიან არჩეულნი. ყოველი პროვინცია წარდგენილი იქნება პარლამენტში თავისი ფინანსიური მდგომარეობის მიხედვით. არჩევნები დაიწყება მარტში.

## საზღვარ-გარეთ

**გარტინგი ბრიუსელში.** ორი თვის იტალიაში ყოფნის შემდეგ გარტინგი ხელახლა დაბრუნებულა ბრიუსელში. ის ერთ საუკეთესო სასტუმროში სცხოვრობს და სრულებითაც არ იმალება. გარტინგის ოჯახობა დასახლებულა პამიერას მიდამოებში. გარტინგს სურს ეს ქალაქი გახადოს ცენტრათ რუსეთის პოლიციისათვის. ამ ცენტრს დაუქვემდებარებენ ლონდონის, პარიზის, ბრიუსელის, ჟენევის და რომის საგენტოებს. ბერლინში დარჩება დამოუკიდებელი საგენტო გერმანიისათვის, ავსტრო-უნგრეთისათვის, სკანდინავიის სახელმწიფოთათვის და ბალკანეთის ნახევარ-კუნძულისათვის. ცენტრალური საგენტოები სრულებით დამოუკიდებელი იქნება საელჩოებიდან.

**„ძირს პერები“!** *) 26 ნოემბერს ლონდონის მახლობლათ, ბორკინში საარჩევნო კრება გაიმართა, რომელსაც დიდ-ძალი ხალხი დაესწრო. კრებაზე ლორდ დანმორმა განიზრახა კონსერვატორის კანდიდატის დაცვა. ხალხი შეუწყვეტლათ გასძახოდა: „ძირს პერები“! ძლიერი ხმაურობის გამო სხვა ორატორებმაც ვერ შესძლეს ლაპარაკი.

**რევოლიუცია ნიკარაგუაში.** ნიკარაგუაში რევოლიუციონური მოძრაობა თანდათან ფართოვდება და საშიშარ ხასიათს იღებს. რევოლიუციონურმა მოძრაობამ თავი იჩინა აგრეთვე გონდურასში, სადაც ამ ჟამათ სამხედრო წესებია გამოცხადებული.

**სუფრაჟისტკები და ასკვიტი.** ინგლისის ქალთა თავისუფლების ლიგა უკმაყოფილოა ასკვიტის გადაწყვეტილებით, რომელსაც განზრახვა აქვს სუფრაჟისტკების შესახებ საკითხი მომავალ პარლამენტში წამოაყენოს. ლიგის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ პრემიერის ასეთი წინადადება კავშირმა 1907 წელსაც უარყო. მოელიან, რომ სუფრაჟისტკები მთავრობის საწინააღმდეგო მოქმედებას განაახლებენ.

**მანიფესტაცია.** 29 ნოემბერს რკინის გზის მოსამსახურეებმა პარიზში დიდი მანიფესტაცია გამართეს. ისინი შრომის ბირჟიდან გამოვიდნენ დროშებით და ქალაქის ბაღებისაკენ გაემართნენ. აქედან მანიფესტანტები რკინის გზის სადგურისაკენ წავიდნენ, მაგრამ პოლიციამ მათ ალყა შემოარტყა და არ გაუშვა.

**არჩევნები ისპანიაში.** მადრიდიდან დეპეშით იტყობინებიან, რომ ქალაქის არჩევნებზე კონსერვატორები და კლერიკალები უსელგან სასტიკათ დამარცხდნენ. სტახტო ქალაქში არჩეულ იქნა 14 ლიბერალი და 14 რესპუბლიკანელი. პროვინციაში ბევრი ადგილი ხვდათ სოციალისტებს.

## რუსეთი.

**მე-2 დუმის დეპუტატები.** მთავრობამ ს. დ. ფრაქციის დეპუტატებს ნება დართო სათითაოთ ენახათ გადასაგზავნ ციხეში მოთავსებული მეორე დუმის ყოფილი ს. დ. დეპუტატები. უკანასკნელებს უთქვამთ: ციხის ადმინისტრაცია მიწერ-მოწერის უფლებას არ გვაძლევს, საზოგადოთ კი, დიდ შევიწროვებას ვითმენთო. მნახველებზე ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს თურმე საკატორღო დეპუტატების «გადახოტრილი» თავები.

# საპროტესტო წერილი

გთხოვთ შეუერთოთ ჩვენი ხმა იმ მუშების პროტესტს, რომლებიც პროტესტს უცხადებენ დრ. საზოგ. გამგეობას სექციისათვის სახალხო დღეების წართმევისათვის. ჩვენ არ ვფიქრობდით, თუ დრ. საზ. გამგეობა ასე უდიერათ მოიქცეოდა და ფეხ-ქვეშ გათელავდა და არავითარ ანგარიშს არ გაუწევდა ჩვენს აზრს და სურვილს, მარა რა გაეწყობა! დღეს მათი ბატონობის ხანაა.

ხელს აწერს: რკ. გზ. უმთავრეს სახელოსნოს 53 მუშ. *).

# პროვინცია

**ქვემო ჭალა** (გორის მაზრა). ამას წინათ აქაურმა მამასახლისმა დაიბარა ახლო მახლო სოფლის ხალხი და გამოუცხადა, რომ ამოერჩიათ თითო სოფლიდან სამ-სამი კაცი ყოველივე გადასახადების მოსაკრეფათ. ხალხიც, რასაკვირველია, დაეთანხმა. აირჩიეს სამ-სამი კაცი, სხვათა შორის აირჩიეს ნამამასახლისარი, მიხა მაისურაძე, და ანტონ ტურაშვილი ამათ სიხარულს საზღვარი არ ქონდა. არჩევისთანავე შეუდგნენ საქმიან საქმეებს. გადასახადის მოკრეფასთან ერთათ მიზნათ დაისახეს, ყველა ოჯახში ქეიფი და გაძღომა. მიადგებიან რომელიმე გლეხს და უბრძანებენ: „აბა ჩქარა კარგი საჭმელები და ღვინო მოიტა“-ო. ვაი მისი ბრალი ვინც უარს გაბედავს. როცა კარგათ გამოიბრუჟებიან მეორეს მიადგებიან. როცა თავიანთ სოფელში აღარავინ დარჩათ შეუჭმელი, სხვა სოფელს მიადგნენ და მოინდომეს იქაც ასე მოქცეოდიყვნენ, მაგრამ ჩაუვარდათ კოვზი ნაცარში, იქაურმა არჩეულმა კაცებმა ცარიელ-ტარიელი უკანვე გამოაბრუნეს.

გლეხის სინათლე.

*) ლორდების საპატიო წოდებაა.

*) ხელმოწერილი ორიგინალი ინახება რედაქციაში. რედ.

# მუშათა შორის

**საჯევახო.** სადგურ საჯევახოში, რკინის გზით მრავალი სავაჭრო საქონელი მოდის, რომელიც აქედან მეურმე-მუშებს გადააქვთ დაბა ჩოხატაურში და სხვაგან. სადგურ საჯევახოს მახლობელ სოფლებიდან მეურმე-მუშებმა შეადგინეს ჯგუფი, რომელსაც მიზნათ დაუსახავს გურიაში გასაგზავნ საქონლის გადაზიდვა ურმით. ასეთი მეურმე-მუშები დაბა ჩოხატაურის მიდამოებიდანაც მოდიან და გადააქვთ გურიაში საქონელი. განმათავისუფლებელი მოძრაობის დროს საჯევახოელ და ჩოხატაურელ მეურმე-მუშებთა შორის შესამჩნევი სოლიდარობა სუფევდა, მაგრამ რეაქციის დაწყებიდან, სამწუხაროთ, უთანხმოებამაც იჩინა თავი. ეს უთანხმოება ეხლა-ხან თანდათან მწვავდება და საჭიროა, რომ თვით შეგნებულ მუშა-მეურმეებმა ყურადღება მიაქციონ დროზე ასეთ უთანხმოებას, თორემ რომ რაიმე სამარცხვინო საქმე მოხდეს ამ ორ რიგ მეურმე-მუშებთა შორის, მაშინ გვიანღა იქნება „თითზე კბენანი“. საჯევახოელი მუშა-მეურმეები ჩოხატაურელ მეურმეებისადმი დიდ უკმაყოფილებას აცხადებენ, რომ არა ამხანაგურათ გვეპყრობიანო. საჯევახოელ მუშას საჯევახოდან ურმით ტვირთი წაუღია ჩოხატაურში. შუა გზა რომ გაუვლია, ჩოხატაურიდან მომავალი ცარიელი მეურმეები შეხვედრიან, ტვირთიანი მეურმე გაუჩერებიათ, ტვირთი თავიანთ ურემზე გადაუტანიათ (ამის წამოღება ჩვენ გვეკუთვნოდაო) და მეურმე ხელ-ცარიელი საჯევახოსკენ გამოუსტუმრებიათ. კიდევ კარგი, რომ შეგნებულ მეურმეს მოძალე მეურმეებისათვის წინააღმდეგობა არ გაუწევია, თორემ შესაძლებელი იყო რაიმე სამწუხარო შედეგი მოჰყოლოდა. ასეთი არა სასურველი ამბები დღითი დღე იკიდებს ფეხს. საჭიროა შეგნებულმა მეურმე-მუშებმა ყურადღება მიაქციონ ამ გარემოებას და კულტურული საშუალებით ერთხელ და სამუდამოთ ბოლო მოუღონ ამ უთანხმოებას.

„შეკბენილი“

# უცხოეთი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

**ბრძოლა სამღვდელოების წინააღმდეგ.**

1901 წელს საფრანგეთის მთავრობამ კანონი გამოსცა, რომლითაც ორგანიზაციებათ იქნა გამოცხადებული რელიგიოზური კონგრეგაციები. *) მაშინ არჩეულ იქნა რამდენიმე კომისია, რომელსაც უნდა მოესპო ეს კონგრეგაციები. უკანასკნელათ იუსტიციის და ფინანსთა მინისტრებმა ანგარიშში წარუდგინეს პრეზიდენტს; გასული წლის [illegible]მდე სულ 329 კონგრეგაციის ლიკვიდაცია მოუხდენიათ. მარტო 1908 წელს—111 კონგრეგაციების მთელი უძრავ-მოძრავი ქონება ხაზინის სასარგებლოთ იქნა ჩამორთმეული. ქონების უმეტესი ნაწილი უკვე გაყიდეს. ამ ხნის განმავლობაში შემოსულა 5 ნახ. მილიონი ფრანკი. ლიკვიდაცია უნდა უყონ კიდევ 400 კონგრეგაციას. კომისიებს ბევრი დაბრკოლებები ელობება წინ ლიკვიდაციის მოხდენის დროს. თითოეულ საქმეზე სასამართლოში უხდებათ საქმის წარმოება, ვინაიდან სამღვდელოება სჩივარს აცხადებს, თითქოს ქონების ჩამორთმევის დროს კომისია უკანონოთ მოიქცა. ამასთან, სამღვდელოება წინანდელ ტაქტიკას ადგია: როცა კომისია საჯარო ვაჭრობას ნიშნავს ჩამორთმეული ქონების გაყიდვის შესახებ, სამღვდელოება ემუქრება ხალხს საგანგებოთ გამოცემულ ფურცლებში, რომ თუ ვინიცობაა, ვინმე გაბედავს და ქონებას იყიდის, ეკლესიიდან გავრიცხავთო. ასეთი საშუალებებით სამღვდელოება ფასს ძალზე ამცირებს და ამით, რასაკვირველია, ხაზინას შემოსავალი აკლდება. განზრახვა აქვთ იმ სამღვდელო პირთა წინააღმდეგ, რომლებიც თვალ-საჩინო დაბრკოლებებს აღმოუჩენენ კომისიას, სასტიკი ზომები მიიღონ.

7 წელია, რაც საფრანგეთში არსებობს ეგრეთ წოდებული „რესპუბლიკანურ ახალგაზრდათა“ ჯგუფები. მათი მიზანია სწავლა გაავრცელონ სკოლის გარეთ დარჩენილ ხალხს შორის. სხვადასხვა ადგილებში მართავენ ლექციებს, წარმოდგენებს, სახალხო დღესასწაულებს და სხ. უმთავრესი მიზანი მათი კი ისაა, რომ მცხოვრებთ ჩაუნერგონ რესპუბლიკანური მართვა-გამგეობის შეგნება და რაც შეიძლება, მეტმა განაგრძოს სწავლა უმაღლეს სასწავლებელში პირველდაწყებით სწავლა-დამთავრებულთაგან. ამას წინეთ მოხდა ხსენებულ ჯგუფთა კონგრესი, სადაც მთავარ კითხვათ დაისვა საერო სკოლებისთვის მხარის დაჭერა და სამღვდელოების წინააღმდეგ ბრძოლა. კონგრესის აზრით საჭიროა სასტიკი ბრძოლა სამღვდელოების წინააღმდეგ. ამ მიზნით ისინი წიგნებით, ბროშიურებით, ფურცლებით, გაზეთებით და აგრეთვე სიტყვიერათაც დიდ აგიტაციას გასწევენ ხალხში სამღვდელოების წინააღმდეგ.

*) კონგრეგაცია ნიშნავს რამდენიმე კათოლიკეთა მონასტერის ერთად შეერთებას, რათა თავიანთი საქმეები თითონ მონასტრებმა უკეთ მოაწესრიგონ.

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. მელიქ-შახნაზარიანცი

კახეთის მევენახეთა ღვინის დამყენებელი
გლეხთა ამხანაგობა
„კახეთი“
Товарищество крестьянскихъ кахетинскихъ виноделъ садовладельцевъ
„Kaxetia“

ამ ეტიკეტით იყიდება ჩვენი ღვინო ყველა საბაკალეინო მაღაზიებში, სასმელების დუქანში, ტრაქტირებში და სასტუმროებში.
10 ბოთლს ზევით უგზავნით ვუმთავრესი საწყობიდან ჩვენის ხარჯით მხოლოდ თფილსში.
По такому этикету продается наше вино во всѣхъ бакалейныхъ магазинахъ и питейныхъ заведеніяхъ.
Свыше 10 бут. доставляется нашимъ подводомъ въ Тифлисѣ.
უმთავრეს საწყობიდან ღვინო დაეთმობათ შემდეგ ფასებში:

| | | | |
|---|---|---|---|
| № 1 „ | — 20 к. | 16 „ | — 3 р. |
| № 2 „ | — 25 к. | 16 „ | — 3 р. 60 к. |
| № | — 35 к. | 16 „ | — 5 р. 10 к. |
| 4 , | — 50 к. | 16 „ | — 7 р. |

Адресъ: Тифлисъ, Русская ул. д. № 7.
Мухаилу Николаевичу Кодаловъ.

კანტორა და სკლადი
ი. ახოზაძისა
გადავიდა ნეკრასოვის ქუჩაზე, სახლი № 14 ვორონცოვის ძეგლის მახლობლათ.

სკლადში იმყოფება შემდეგი წამლები:
„სპერმატინი“
ავათმყოფებს და სუსტებს. ფლ. 2 მ. 40 კ.
„ალმეზა“
რომელიც აცხრობს უცბათ კბილის ტკივილს ნორმ. ფლაკ. 1 მ. 20 კ. სავთელი 40 კ.
„კლაპოვნი“ სპობს ბაღლინჯოებს და მათ კვერცხებს, ფასი 35 კ. სალიუბლინი პროფესორ გიუმონდისა სუსუნატისა არჩენს ძველს და ახალს. ფასი ფლ. 2 მ. 50 კ.
„პ რ ი მ ა“ სპობს თმის ქერწლსა და აჩერებს თმის ჩამოცვენასა. აგრეთვე ზრდის თმასა. ფასი ფლაკ. 1 მ. 20 კ.
მსურველთ ვუგზავნით ფას დადებითი. ბროშიურები უფასოთ. 30—24




1 მანეთიდან ფულის გადახდა ნაწილ ნაწილათ 1 მანეთიდან
ხელის მაშინები 25 მანეთიდან
იყიდება იმპერიის ყველა ქალაქებში განსაკუთრებით საკუთარ მაღაზიებში.
თფილისში სამი განყოფილებაა: 1) გოლოვინის პროსპექტზე; სასახლის პირდაპირ; 2) ვაგზლის ქუჩა, სახლი ენფიანჯიანცისა; 3) ავლაბარში, კახეთის ქუჩაზე, სახლი ჯალალოვისა. 20—14

